# გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 22 აპრილი, 2011 წელი.

№76 (6687)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ქრისტე აღსდგა!



**24 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, თითოეული მართლმადიდებელი ქართველი დღესასწაულობს უდიდეს საუფლო დღესასწაულს — იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.**

სახარების მიხედვით, დიდ შაბათ ღამეს, ნაშუაღამევს ღვთის მიერ მოვლენილმა ანგელოზმა სამი დღის დაფლული იესო ქრისტეს საფლავიდან დიდი ლოდი გადააგორა და ამ ლოდზე დაჯდა.

ამ სანახაობით შეძრწუნებულმა საფლავის მცველებმა გონება დაკარგეს და მკვდრებივით დაცვივდნენ საფლავთან. ანგელოზმა ამცნო ამ დროს ქრისტეს საფლავზე მოსულ მარიამ მაგდალინელსა და მარიამ იაკობისას, რომ ქრისტე „არა არს აქა, რამეთუ აღსდგა, ვითარცა სთქუა“.

აღდგომის სასწაული, საეკლესიო მოძღვრების თანახმად, არის დაგვირგვინება იმ საგანგებო მოვლენებისა, რომლებიც მოწმობენ ქრისტეს ღვთაებობას და ამასთან ერთად ქრისტიანული რელიგიის ღვთაებრივ წარმოშობას.

აღდგომის დღესასწაულზე კვერცხის წითლად შეღებვა სიმბოლურად გამოხატავს ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისათვის დანთხეულ სისხლს, კვერცხი კი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა.

**ქრისტე აღსდგა მკვდრეთით,**
**სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი,**
**და საფლავების შინათა**
**ცხოვრების მიმნიჭებელი.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...მე ყოველთვის იმედით ვარ აღვსილი და მჯერა, ადრე თუ გვიან საქართველო გაერთიანდება... მთავარია, ვემიებდეთ ღვთის სასუფეველს და მის სიმართლეს და ყოველივე მოგვეცემა... შევთხოვოთ მაცხოვარს, რათა ღვთის მადლით განწმენდილნი ვიქცეთ და განვამზადოთ ახალი საკურთხეველი ჩვენთვის ჯვარცმულ და აღდგომილ იესოსთვის.

**ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!“**

## წმინდანის ხატი სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ კედელზე გამოისახა

ტელეკომპანიის „რეალ-ტვ“-ის ინფორმაციით, ოთხშაბათ ღამით, დაახლოებით პირველი საათისათვის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე წმინდა ნიკოლოზის ხატი გამოისახა.

წმინდანის სახე ღამისთევის ლოცვებისას სწორედ იმ ადგილას გამოისახა, სადაც წმინდა მირონი იხარშება. წმინდა ნიკოლოზი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მფარველია. რადგან საეკლესიო ცხოვრებაში მირონის კურთხევა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, წმინდანმა ხილული სასწაულით საქართველოს ეკლესიის მფარველობა კიდევ ერთხელ გამოხატა.

დიდ ხუთშაბათს უფალმა საიდუმლო სერობაზე თავმდაბლობის მაგალითისთვის მოციქულებს ფეხები დაბანა. სწორედ დიდ ხუთშაბათს დააარსა უფალმა ზიარების საიდუმლო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საზეიმო წირვა სვეტიცხოვლის ტაძარში აღავლენა. საღვთო ლიტურგიის მსვლელობისას წმინდა მირონი აკურთხეს.

წმინდა მირონს ადამიანს ერთხელ სცხებენ — ნათლობის დროს, რაც სულიწმინდის ბეჭედს წარმოადგენს. ტაძარში მყოფ მორწმუნეებს მხოლოდ გუშინ ჰქონდათ შესაძლებლობა წმ. მირონი კურთხევამდე ეცხოთ. წმინდა მირონის კურთხევა ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. ამ უფლებით საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან სარგებლობს და ეს 15-20 წელიწადში ერთხელ ხდება.



# ჭეშმარიტად აღსდგა!

ოპოზიცია

# „საქართველოს გზის“ ორი გზა

## სალომე ზურაბიშვილის ყოფილი პარტია ქუჩის აქციებში ჩაერთვება

**მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილმა საქართველო დატოვა და სამუშაოდ გაეროში გადავიდა, ყველას ეგონა, რომ მისი პარტიაც დაამთავრებდა არსებობას, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. „საქართველოს გზა“ საკმაოდ ხშირად აწყობს ბრიფინგებს და პოლიტიკურად ყველა აქტიურ თემას ეხმიანება.**

გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელსაც პარტიის საერთაშორისო მდივანი **თეიმურაზ მურვანიძე** უძღვებოდა, შეეხებოდა როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ისე საგარეო კურსს. „ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ქვეყანაში სრულიად არადემოკრატიული რეჟიმია, თუმცა ხელისუფლების მხრიდან ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენი და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ხედვა იდენტურია, რისი ნათელი მაგალითია ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონისა და ამერიკის სრულუფლებიანი ელჩის ჯონ ბასის ობიექტური კომენტარები ამ საკითხთან დაკავშირებით. მათი განცხადებები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ სამართლიანი არჩევნები და ამ გზით ქვეყნის მმართველი ძალისა და კურსის განსაზღვრა არის დემოკრატიის უმთავრესი გამოვლინება, რაც დღეს საქართველოში არ არსებობს“, — აღნიშნა მან.




თეიმურაზ მურვანიძე აფხაზეთში ებრაელ ბიზნესმენთა ვიზიტსაც შეეხო, და ამაში ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა და საგარეო კურსი დაადანაშაულა. „იმის მიუხედავად, რომ ჩვენი პარტნიორი ქვეყნები ოფიციალურად მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ადგილი აქვს კერძო ბიზნესის აშკარა გააქტიურებას და დაინტერესებას აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმთან ურთიერთობით, ოფიციალური თბილისის გვერდის ავლით. თურქი და ებრაელი ბიზნესმენების შემდეგ არაღიარებულ სეპარატისტულ ხელისუფლებასთან იორდანიისა და ესპანეთის ბიზნესმენებიც ამყარებენ კავშირს, რაც სწორედ საქართველოს ხელისუფლების არაკომპეტენტური და არაადეკვატური პოლიტიკის შედეგია“, — აღნიშნა თეიმურაზ მურვანიძემ.

**„საქართველოს გზა“ არ გამორიცხავს, რომ უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში შესაძლოა მოხდეს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის აღიარება სხვა ქვეყნების მიერაც, ასევე გაძლიერდეს ეკონომიკური კონტაქტები სეპარატისტულ რეჟიმთან ევროპული სახელმწიფოების მხრიდან.** „ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან დაუყოვნებლივ კონკრეტულ ნაბიჯებს, რათა ეს საფრთხეები ავიცილოთ თავიდან, ხოლო ოპოზიციურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთლიანად ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებთ, აქტიურად დაიწყონ ამ საკითხების საჯარო განხილვები“, — განაცხადა თეიმურაზ მურვანიძემ. მან კონკრეტულ ნაბიჯებში ხელისუფლების არასწორი მიდგომა იგულისხმა, როცა ის ხელოვნურად ძაბავს ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან, როგორც ეს ებრაელ ბიზნესმენებთან დაკავშირებით მოხდა.

**რას აპირებს „საქართველოს გზა“ ნაალდგომევს, თუკი თბილისში სერიოზული მღელვარება დაიწყება? — როგორც პარტიის მდივანი ამბობს, მათთვის ორივე გზა მისაღებია; ხელისუფლებასთან დიალოგიც და ქუჩის აქციებიც. „ჩვენი პარტია ყოველთვის იდგა საზოგადოების გვერდით და ახლაც ასე იქნება. თუკი აქციები დაიწყება, ქუჩაში აუცილებლად გავალთ“,** — დასძინა მან.

**ნია ფიფია**

ინფორმაცია

**ატომური კატასტროფები საფრთხეების შეფასების დოკუმენტში გაიწერება. ამის შესახებ გუშინ, ეროვნული უშიშროების საბჭოს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ლაშა დარსალიამ პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან შეხვედრაზე განაცხადა.**

**ექსპერტები დაინტერესდნენ რამდენად იყო ასახული უსაფრთხოების კონცეფციის განახლებულ რედაქციაში ისეთი გამოწვევა, როგორიც არის ატომური კატასტროფები, რომლის აუცილებლობაც ბოლო დროს იაპონიაში განვითარებული მოვლენების შემდეგი უფრო მკაფიოდ დადგა.**

## ატომური კატასტროფების საფრთხეები და ეროვნული უშიშროების საბჭო

**დარსალიას განცხადებით, აღნიშნული საკითხი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც არის ასახული, თუმცა მასზე დეტალური საუბარი იქნება საფრთხეების შეფასების დოკუმენტში.**

**— საფრთხეების შეფასების დოკუმენტში ატომური კატასტროფების საფრთხეები სცენარის დონეზე გვაქვს განხილული და შეფასებულია როგორც მოსალოდნელი შედეგები, ასევე მისგან თავის დასაცავად გათვლილი გეგმა, — აღნიშნა ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.**



**ამასთან, დარსალიას თქმით, ატომური კატასტროფების სცენარი საფრთხეების შეფასების დოკუმენტის დახურულ ნაწილშია გაწერილი და ამის გათვალისწინებით მის დეტალებზე საუბარს ვერ შესძლებს.**

**მისივე თქმით, საფრთხეების შეფასების დოკუმენტში ასევე საუბარია ქიმიური საწარმოების კუთხით არსებულ საფრთხეებზე.**

ХО-ЭОВ-ЭНО

შეფასება

# „თუ ჩემს მიერ მოსმენილი ბრალდებები დადასტურდება, საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ დადგება“

**ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა თომას ჰამარბერგმა საქართველოში ვიზიტის შედეგები ევროპის საბჭოს თბილისის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე შეაჯამა და განაცხადა, რომ „საქართველოში გამართულ შეხვედრებზე მართლმსაჯულების სისტემაში არსებული საკმაოდ ბევრი ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მოისმინა, რომელიც საქართველოში მართლმსაჯულებას აფერხებს“.**

„ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ და მზად ვარ, საქართველოში შეგროვებული მასალების საფუძველზე მთავრობისთვის რეკომენდაციები მოვამზადო. ჩემი ვიზიტის პერიოდში რამდენიმე შეხვედრა გავმართე როგორც ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებთან. საუბარი მქონდა რუსთავის მე-6 მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში მყოფ პატიმრებთან და მათი ოჯახის წევრებთანაც. ტიპიური საჩივრები, რომელიც მოვისმინე, საკმაოდ სერიოზულია. მაგალითად, წინასწარი დაკავების ზომა უნდა იყოს საბოლოო და თავიდანვე არ უნდა იყოს შეფარდებული. ასევე საჩივრებია პროკურორების არასათანადო ქმედებებთან დაკავშირებით, რაც მართლმსაჯულებას აფერხებს. ისმის საჩივრები ასევე მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნასთან დაკავშირებით და თუ ეს ბრალდებები ნამდვილად დადასტურდა, საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ დადგება“, — განაცხადა ჰამარბერგმა.

გარდა ამისა, ჰამარბერგის თქმით, მან საჩივარი მოისმინა იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამცველების მხრიდან კანონის დარღვევას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ეს 2010 წლის გაზაფხულზე ჩატარებულ აქციასა და 2007 წლის 7 ნოემბრის პერიოდს ეხება.

„აღნიშნულმა საკითხებმა მიბიძგა, საქართველოში ჩამოვსულიყავი“ — აღნიშნა ევროკომისარმა.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით თბილისში 18 აპრილს, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ვითარების გასაცნობად ჩამოვიდა.

ჰამარბერგი ხელისუფლების წარმომადგენლებს, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს, მოსამართლეთა ჯგუფს, ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც შეხვდა.

ცნობისთვის, საქართველოში შეგროვებული მასალების საფუძველზე თომას ჰამარბერგი სპეციალურ ანგარიშს ზაფხულისთვის მოამზადებს.

**„პირველი“**

SOS!

## აზერბაიჯანული პოლიგონი საფრთხეს გვიქმნის

**დავით გარეჯში რეპორტაჟის მოსამზადებლად მყოფ კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტს მონასტერში მოღვაწე ბერებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო პოლიგონი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს საფრთხეს უქმნის.**

— აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო პოლიგონი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაუქმდა, ბოლო წლებში კი პერიოდულად ქვემეხებს ისვრიან, დავით გარეჯის და დოდო გარეჯელის მონასტრებს, ჩიჩხიტურსა და ბერთუბანს საფრთხეს უქმნის. ეს პოლიგონი მონასტრებთან გაცილებით ახლოს არის, ვიდრე ალგეთის პოლიგონი, — აღნიშნეს ბერებმა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.

ХО-ЭОВ-ЭНО

ინფორმაცია

## რატომ ვიჩქარეთ სარჩელის შეტანა?

**რუსეთის კვლევის ინსტიტუტმა და კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევის ცენტრმა მრგვალ მაგიდასთან დისკუსია გამართა. თემა საქართველო-რუსეთის კონფლიქტს ეხებოდა. შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს რუსეთის მხრიდან ეთნიკური ქართველების მიმართ ქსენოფობიურ დამოკიდებულებასა და 2008 წლის აგვისტოს ომზე. ამის გამო ქართულმა მხარემ ჰააგის სასამართლოში სარჩელი შეიტანა. შეხვედრაზე ნაჩვენები იყო „რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის“ მიერ გადაღებული ანალიტიკური ვიდეოსიუჟეტი. შეხვედრას სამართლის ექსპერტები და საზოგადოებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ექსპერტები თვლიან, რომ საქართველომ იჩქარა სარჩელის შეტანა ჰააგის სასამართლოში მიუხედავად უამრავი მამხილებელი მასალისა. მათი განცხადებით საქართველოს სარჩელის მიღებას მცირე შანსი აქვს.**

ირინა ოზოლაშვილი

ვითარება

# ზეევ ფრენკელისა და რონი ფუქსის ოჯახის წევრები პრეზიდენტ სააკაშვილს მათ შეწყალებას სთხოვენ

**საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების ზეევ ფრენკელისა და რონი ფუქსის შვილები პრეზიდენტ სააკაშვილს მშობლების შეწყალებას სთხოვენ.**

**შესაბამისი განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ცოტა ხნის წინათ შევიდა.**

როგორც „პირველს“ ბიზნესმენების ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა აცნობა, განცხადება ბიზნესმენების შვილებმა მას გადმოუგზავნეს, მან კი, როგორც ბიზნესმენების უფლებების დამცველმა, ისინი პრეზიდენტის სახელზე ადმინისტრაციაში შეიტანა.

„ფუქსისა და ფრენკელის შვილები მშობლების გათავისუფლებას ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვენ. ჩვენ შედეგებს დაველოდებით, მანამდე კი მხოლოდ მარჩიელობა შეგვიძლია,“ — განუცხადა „პირველს“ ადვოკატმა.

მისივე განმარტებით, ბიზნესმენები წაყენებულ ბრალში თავს კვლავ უდანაშაულოდ სცნობენ და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აპელაციის წესით გასაჩივრებას გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური ინფორმაციით, ქართველმა სამართალდამცველებმა ებრაელი ბიზნესმენები ქრთამის შეთავაზების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბიზნესმენები ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ავთანდილ ხარაიძეს 7 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ იმაში, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დაერწმუნებინა, არ გაესაჩივრებინათ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება ქართული მხარისათვის ფუქსისა და ფრენკელის კუთვნილი კომპანია „ტრამექსის“ სასარგებლოდ 100 მილიონი დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.



თავის მხრივ, ხარაიძემ აღნიშნული შეთავაზების შესახებ პროკურატურა საქმის კურსში ჩააყენა, რის შემდეგაც ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ოპერაცია დაიგეგმა.

რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია ბიზნესმენების გათავისუფლების მიზნით საქართველოში ებრაული დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ. ეს ინფორმაცია „პირველს“ ადვოკატმა კბილაშვილმაც დაუდასტურა, რომლის მონაცემებით, ებრაელებმა საქართველოში შეხვედრები მართლაც გამართეს, თუმცა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან კონსენსუსს ვერ მიაღწიეს და ქვეყანა დატოვეს.

შეგახსენებთ ასევე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ რონი ფუქსს თავისუფლების 7 წლით აღკვეთა მიუსაჯა, ზეევ ფრენკელს კი — 6 წლითა და 6 თვით. გარდა ამისა, მოსამართლე ფუხაშვილმა ფუქსს საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 000 ლარის გადახდა დააკისრა, ფრენკელს კი — 100 000 ლარის.

მოგვიანებით, კერძოდ 15 აპრილს, ბიზნესმენებს პატრიარქი შეხვდა.

ადვოკატის თქმით, უწმინდესი ძირითადად გამამხნევებელი მოწოდებებით შემოიფარგლა, ბიზნესმენებს საჩუქრები გადასცა, მალე გათავისუფლება უსურვა და განაცხადა, რომ ქართველ და ებრაულ ხალხებს შორის საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობები უნდა გაგრძელდეს.

**„პირველი“**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ევროსესხი

# ფინანსური „ტაიმ-აუტი“

**ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ საქართველოს საგარეო ვალი წლევანდელი 1 თებერვლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 38 პროცენტს შეადგენს, რაც ფულადი გამოხატულებით 7 მილიარდ 244,2 მილიონი ლარია (ანუ 4 მილიარდ 4,76 მილიონი დოლარი).**

ქვეყნის საგარეო ვალზე ლაპარაკი იმიტომ დავიწყეთ, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მთავრობამ საზღვარგარეთ 500 მილიონი დოლარის ოდენობის ევროობლიგაციები განათავსა, რის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან არაერთხელ განაცხადეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. კარგადაა ცნობილი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველი ევროობლიგაციები საქართველოს მთავრობამ სამი წლის წინათ რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულ აგრესიამდე ცოტა ხნით ადრე გამოუშვა, თუმცა მაშინაც და ახლაც დამოუკიდებელ ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მაშინდელი პროფიციტული ბიუჯეტის პირობებში, როცა შემოსავალი გასავალს ჭარბობდა, ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა.

**ცნობისთვის: ევროობლიგაცია — სავალუტო ღირებულების ფასიანი ქაღალდია, რომელსაც მთავრობა (ანდა რომელიმე კორპორაცია, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც „ცოცხალი ფულის“ მიღება უნდა) საერთაშორისო საფინანსო სინდიკატების ხელშეწყობით, საფონდო ბირჟებზე განათავსებს. ევროობლიგაცია ვალის საგარანტიო დოკუმენტია, რომელსაც გარკვეული ვადა და გარკვეული საპროცენტო მომსახურების პირობა (ჩვენ შემთხვევაში წელიწადში 7,5 პროცენტი) აქვს განსაზღვრული. ამნაირი ფასიანი ქაღალდების შეძენით, უწინარესად, დაინტერესებულნი არიან საინვესტიციო კომპანიები და კერძო ინვესტორები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდები და სხვ.**



2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ ლონდონის საფონდო ბირჟაზე 100 ათასი დოლარის ნომინალის ხუთწლიანი ვადის 5 ათასი ევროობლიგაციაა კომპანიების „იუბიესის“ და „ჯი-პი მორგანის“ მეშვეობით განათავსა. ევროობლიგაციების (იგივე ევრობონდების) 50 პროცენტი მაშინ ბრიტანელმა ინვესტორებმა შეიძინეს, 13 პროცენტი — ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულმა ამერიკულმა კომპანიებმა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ევრობონდების ხუთწლიანი ვადა, ანუ ვალის გასტუმრების დრო, 2013 წელს დგება. სწორედ ამ ვალის დაფარვის აუცილებლობამ, ასე ვთქვათ, „ააწრიალა“ მთავრობა და ეს, როგორც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, გააკეთა კიდეც, მაგრამ რატომ მოხდა ეს დათქმულ დრომდე ორი წლით ადრე, კაცმა არ იცის. შედეგად, ნახევარი მილიარდი დოლარის გასტუმრება უკვე სულ სხვა ხალხს მოუწევს 2021 წლის გაზაფხულზე, რაც, როგორც ჩანს, დღევანდელ „მესაჭეთა“ აზრით, ახლანდელ და მომავალ მთავრობებსაც საამისოდ გაცილებით კომფორტულ ვითარებაში და შეუდარებლად ძლიერ ეკონომიკის მქონე პირობებში მოუწევთ. ამასობაში, ჩვენი ფინანსური „ლოცმანები“ აცხადებენ, რომ რეფინანსირება, ანუ ძველი ვალის ახლით გადაფარვა, მსოფლიოში კარგად აპრობირებული და საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა და სულაც არ მოასწავებს ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებათა ტვირთის დამძიმებას. ხაზს ვუსვამ (და, უნდა ითქვას, არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ახალი ევრობონდები განთავსებულია არა ძველებურად 7,5 პროცენტად, არამედ უფრო ნაკლებად, 6,875 პროცენტად, რაც უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვალის ყოველწლიურ მომსახურებას გაცილებით ნაკლები ფული სჭირდება.

მთავრობის განცხადებით, ახლახან ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული ობლიგაციების 52 პროცენტი ბრიტანულმა, 41 პროცენტი — ამერიკულმა, ხოლო დანარჩენი 7 პროცენტი ევროპის სხვა ქვეყნების საინვესტიციო ფონდებმა შეისყიდეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველო ევროობლიგაციების წინა გამოშვების მფლობელებიც იგივე ფონდები იყვნენ, ამდენად, ფაქტობრივად, მათ ძველი ვალდებულებები ახალში გადაგვიცვალეს.

თუმცა ფინანსთა მინისტრი ადრე აცხადებდა, რომ 2008 წლის ვალის გასტუმრება მთავრობას თავისუფალი შიდა დეპოზიტებიდანაც შეეძლო, იგი მაინც ხაზგასმით აღნიშნავდა ახალი ობლიგაციების გამოშვების აუცილებლობას, რაც კომერციული სექტორისთვის გრძელვადიანი რესურსის მოზიდვას ნიშნავს, ხოლო ქვეყანას კი ვალის გასტუმრებას გაუადვილებს.

ექსპერტთა აზრით, გარდა ვალის 2021 წლამდე გადავადებისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რაში დაიხარჯება წლევანდელი გამოშვების ევროობლიგაციების განთავსებიდან მიღებული სახსრები. ამასთან აღნიშნავენ იმასაც, რომ წლეულს ევროობლიგაციების გამოშვება ასე თუ ისე მაინც გამართლებულია და ამან ქვეყანას ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში ასე საჭირო „ტაიმ-აუტი“ მისცა.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

*ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სადღეისოდ საქართველოს საგარეო ვალია 7 მილიარდ 244,2 მილიონი ლარი (4 მილიარდ 4,76 მილიონი დოლარი). ეს ფინანსური ტვირთი მევალეებს შორის ასეა განაწილებული: მსოფლიო ბანკისა მილიარდ 201,778 მილიონი დოლარი გვმართებს; საერთაშორისო სავალუტო ფონდისა — მილიარდ 58 მილიონი დოლარი, ხოლო 332, 49 მილიონი დოლარი — აზიის განვითარების ბანკის ვალია. ამრიგად, მრავალმხრივი კრედიტორების მთლიანად 2 მილიარდ 911 68 მილიონი დოლარი გვმართებს.*

*რაც შეეხება ორმხრივ კრედიტორებს, ყველაზე მსხვილი ჩვენი მევალეა გერმანია (234 მილიონ 491 ათასი დოლარი); მერე რუსეთი (116 მილიონ 654 ათასი დოლარი); იაპონია (56 მილიონი დოლარი) და ამერიკის შეერთებული შტატები (35 მილიონი დოლარი).*

*ამ ნუსხაში ცალკეა გამოსაყოფი თანამეგობრობის ქვეყნები, რომელთაგან ყაზახეთისა გვმართებს 27 მილიონი დოლარი; სომხეთის — 16 მილიონი დოლარი, ხოლო აზერბაიჯანის — 14 მილიონი დოლარი.*

კულტურის სამინისტროში

# ვაჟა აზარაშვილის საღამო

**კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ნიჭის ელვარება, ზოგს რომ მხოლოდღა საესტრადო მუსიკა ჰგონია, ერთხელაც გაბრწყინდა 20 აპრილს საქართველოს კულტურის სამინისტროს სააქტო დარბაზში კომპოზიტორის შემოქმედებით საღამოზე შესრულდა მისი შესანიშნავი კლასიკური ნაწარმოებები: „მიძღვნა რახმანინოვისადმი“, რომელსაც თეა ჯავახია და ნინო რამინიშვილი ასრულებდნენ, „სონატა ფორტეპიანოსათვის“ — თამარ ლიჩელის შესრულებით, „ნოსტალგია“, რომელიც სულხან ცინცაძის ხსოვნას ეძღვნება (ასრულებდა ნინო რამინიშვილი), „სენტიმენტალური ტანგო“, „სიუიტა ძველი თბილისის სურათებიდან“ და კიდევ სხვა მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც, მართლაც რომ გულმხურვალედ მიიღო მსმენელმა.**



საკუთარი ინფორმაცია

მეზობლები

# „სომხეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა გარკვეულწილად რუსეთთან თანამშრომლობას ნიშნავს“

**უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, „სომხეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა გარკვეულწილად რუსეთთან თანამშრომლობას ნიშნავს“.**

როგორც „პირველს“ სესიაშვილმა განუცხადა, **„საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ალოგიკურია“.**



ექსპერტი გაკვირვებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას განცხადებით იმის შესახებ, რომ **„იგი სომხეთში ამ ქვეყნის სამხედრო გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩავიდა“.**

**„საქართველოს მხრიდან სომხეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე საუბარი ალოგიკურია უპირველესად იმიტომ, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში საქართველო რომელიმე მხარის მომხრედ არ უნდა იქცეს, ხოლო ერთ ქვეყანასთან მიმართებაში ნებისმიერი სამხედრო აქტივობა მეორის გაღიზიანებას გამოიწვევს. ასე რომ, ეს გარკვეულ ეჭვებს ბადებს და ძალიან ცუდი იქნება, თუ აზერბაიჯანი, რომელიც ჩვენი სტრატეგიული და ეკონომიკური პარტნიორია, ამას საქართველოს მხრიდან მტრულ ნაბიჯად აღიქვამს. საქართველომ სამხრეთ კავკასიაში მაქსიმალურად მოზომილი როლი უნდა შეასრულოს. მეორე მიზეზი კი, რომლის გამოც სომხეთთან სამხედრო კავშირი გაუგებარია, ისაა, რომ ეს გარკვეულწილად რუსეთთან სამხედრო კავშირს ნიშნავს. რუსეთს რომ სომხეთის უსაფრთხოებისა და საზღვრების დაცვის უზრუნველყოფა თავის თავზე აქვს აღებული! ამასთან, სრულიად გაუგებარია ბაჩო ახალაიას განცხადება იმის შესახებ, რომ ის სომხეთში ამ ქვეყნის სამხედრო გამოცდილების გასაცნობად ჩავიდა. თუ ჩვენ ნატოს სტანდარტებისკენ ვისწრაფვით, სომხეთის მაგალითი ზუსტად ამის საპირისპიროა, რუსული მოდელია და გაუგებარია, რატომ უნდა ვიზიარებდეთ მას“,** — განმარტა სესიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში სომხეთში ერთმანეთის მიყოლებით საქართველოს შს და თავდაცვის მინისტრები ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია იმყოფებოდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს და რუსეთის შს მინისტრები ვანო მერაბიშვილი და რაშიდ ნურგალიევი სომხეთში ერთ-ერთ ოფიციალურ ღონისძიებას ერთადაც დაესწრნენ.

რაც შეეხება ბაჩო ახალაიასა და მისი სომეხი კოლეგის შეხვედრას, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, **„სომხურ-ქართული ურთიერთობები უნიკალურია, მომავალშიც განვითარდება და ვერანაირი ძალა ამ თანამშრომლობას ხელს ვერ შეუშლის“.**

**ნინო ჩიჩუა.**
პირველი

ინფორმაცია

# მსჯელობენ განათლების სფეროს დეცენტრალიზაციაზე

**არასამთავრობო სექტორი განათლების სფეროს დეცენტრალიზაციას ითხოვს. როგორც დღეს, პარლამენტში ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის განახლებული რედაქციის განხილვის დროს არასამთავრობო სექტორი წარმომადგენლებმა აღნიშნეს, აუცილებელია დოკუმენტში განათლებას განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭოს.**

**კერძოდ კი ყურადღება უნდა გამახვილდეს კერძო სექტორის როლის გაზრდასა და სისტემის დეცენტრალიზაციის აუცილებლობაზე, რაზეც შემდეგ განათლების სამინისტრომ თავის პოლიტიკა უნდა ააგოს.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ლაშა დარსალიამ აღნიშნა, რომ დოკუმენტის შესწორებულ ვარიანტში განათლებაზე უფრო ზოგადად იქნება საუბარი.**

**„დოკუმენტის თავდაპირველ ვარიანტში განათლების საკითხებზე უფრო დაკონკრეტებული იყო, თუმცა შემდეგ შეიცვალა და ზოგადი ჩანაწერით ჩანაცვლდა“, — აღნიშნა დარსალიამ და აქვე დასძინა, რომ განათლებული საზოგადოება ქვეყნის და მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა და ამ მხრივ კონცეფციაშიც არის საუბარი, თუმცა უფრო მეტი კონკრეტიკა უკვე სამინისტროს პოლიტიკის ნაწილია.**

ჯი-ეიჩ-ენი

## გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

*2011 წლის 14 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა წერილი „ხელებს ამერიკულად გვიგრეხენ, ენას — ინგლისურად“, რომელშიაც გაშუქებული იყო საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ეგიდით გამართული კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვეობა“ მასალები.*

*კონფერენცია მიეძღვნა ქართული ენის დღეს, მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ცნობილი მეცნიერები; ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, იურისტები, პედაგოგები, მედიის წარმომადგენლები.*

# ქართული ენა საფრთხეშია!

## ენის გადარჩენისთვის ზრუნვა ყველა ჭეშმარიტი ქართველის ვალია!

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ეგიდით გამართული კონფერენციის მონაწილეთა მიმართვა**

**საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს;**

**პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ბაქრაძეს;**

**მეცნიერებისა და განათლების მინისტრს, ბატონ დიმიტრი შაშკინს;**

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ ნიკოლოზ რურუას;**

**მთელს ქართულ საზოგადოებას**

მთელი სამყარო ჩვენთვის, ადამიანებისათვის, ენაში და ენით არსებობს. მთელი ჩვენი ცოდნა ენით გამოითქმის. ადამიანის სულიერ-გონითი სამყაროც ენაშია დაუნჯებული.

ერი უკვდავია, თუ ის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს. უკვდავია ის კულტურა, რომელიც ამა თუ იმ ენაზე იქმნება. უკვდავია ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები, ჩვეულებები, ყველაფერი ის, რაც ერის სულიერ საგანძურს შეადგენს.

ენა ინახავს და მომდევნო თაობებს გადასცემს მთელ იმ სიმდიდრესა და გამოცდილებას, რაც ერს საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია რელიგიური, მეცნიერული თუ მხატვრული ტექსტების სახით. ამ აზრით, ენა ხალხის კოლექტიური მეხსიერებაა.

ყოველ ენას აქვს მყარი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებს თავისთავადობას, რაც ამ ენის სიმდიდრეა. რასაკვირველია, იგი როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ვითარდება და მდიდრდება. ენაში ჩნდება ახალი სიტყვები (ნეოლოგიზმები“, იქმნება ახალი კომპოზიტები. ენის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები და ფრაზეოლოგიზმები. ისინი თან მოჰყვება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას. ამ პროცესს ვერც ერთი ენა ვერ ასცდება.

მაგრამ არ შეიძლება ენის ახალი სიტყვებით გამდიდრების თვითდინებაზე მიშვება. არ შეიძლება უცხო ენიდან შემოვიდეს ისეთი სიტყვები, რომელთა შესატყვისები უკვე არსებობს ენაში და ხშირად უკეთაც გამოხატავს სათქმელის შინაარსს. მიუღებელია ენის დაბინძურება ბარბარიზმებით, ვულგარიზმებით, ჟარგონებით, დიალექტიზმებით. მართალია დიალექტიზმებს ქართული მწერლობის კლასიკოსებიც იყენებდნენ პერსონაჟთა მეტყველებაში, მაგრამ იქაც კი დიდი სიფრთხილითა და ზომიერებით. რაც შეეხება დანარჩენ „იზმებს“, რომლებიც უმოწყალოდ აბინძურებდნენ ენას, მათ წინააღმდეგ (ყოველ შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძის დროიდან) უკომპრომისო ბრძოლა იყო გამოცხადებული.

კომუნისტური მმართველობის დროს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა ენის ნორმების დაცვის სახელმწიფო სამთავრობო კომისია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, რომელიც ადგენდა და იცავდა სალიტერატურო ენის ნორმებს და ყოველი ახალი სიტყვის შემოტანა ხანგრძლივი წინასწარი განხილვის შემდეგ ხდებოდა.

ენის ნორმების დაცვას ემსახურებოდა, ასევე, ენის სახელმწიფო პალატა.

სამწუხაროდ, დღეს არც ერთი არსებობს და არც — მეორე. ენაში ახალი სიტყვების შემოსვლა თვითდინებაზეა მიშვებული, თვალდათვალ ირღვევა მშობლიური ენის სტრუქტურა, სინტაქსი, ღარიბდება უმდიდრესი ლექსიკური ფონდი, თანდათანობით მეჩხერდება სინონიმთა სიმრავლე და მრავალფეროვანება. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს სალიტერატურო ენის საფუძვლიანი შესწავლის, მოვლისა და დაცვის სურვილიც კი აღარ გააჩნია.

დღეს ბილწსიტყვაობენ ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზია, მხატვრული ლიტერატურა, ბილწსიტყვაობა ისმის სცენიდან, თვით პარლამენტის სხდომათა დარბაზიდანაც კი.

ერის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა პრობლემა, რომელზეც ჩვენი სასიქადულო პოეტი ანა კალანდაძე მიგვანიშნებდა: „ბილწსიტყვაობას ქვეყნისათვის ნარკომანიაზე არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია“.

ენის შერყვნა აბინძურებს მეტყველების კულტურას. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე. მოძალებული ვულგარიზმი, ბილწსიტყვაობა ვნებს მათ სულიერებას, ამღვრევს ტრადიციულ მენტალიტეტს და საფრთხეს უქმნის ადამიანთა შორის კეთილგანწყობილებასა და თავაზიან ურთიერთობას.

ენის სიწმინდეს საშიშროებას უქმნის პირველი კლასიდან უცხო ენის შესწავლის დაწყების მცდელობა. მოზარდი, რომელიც უცხო ენაზე დაიწყებს სწავლას, მშობლიურ ენას ყოველდღიური მეტყველების დონეზე დაეუფლება მხოლოდ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბარბარიზმები და ვულგარიზმები, ჟარგონები და კალკები მისი მეტყველების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი იქნება.

სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაუფარავად და დაბეჯითებით ამკვიდრებენ აზრს: რაკი დღეს თითქმის მთელი მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს, რა საჭიროა ქართული ენის სწავლება და მის სიწმინდეზე ზრუნვა, დროა საქართველოს სახელმწიფო ენად ინგლისური გამოვაცხადოთო.

მდგომარეობა მეტისმეტად საგანგაშოა! მივმართავთ ყველას, პირველ რიგში, ხელისუფლებას, ქართველ სტუდენტობას, ახალგაზრდობას, შემოქმედებით ინტელიგენციას, საზოგადოების ყველა ფენას, ყველას, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი კულტურა, თავისი სულიერება, ვიზრუნოთ მშობლიური ენის სიწმინდეზე. „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით“, ან: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“,— გვმოძღვრავდა გრიგოლ ორბელიანი. არსებითად იმავეს ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე: „მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“.



ჩვენი კონფერენცია ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს ეძღვნება, მაგრამ ამ პრობლემას მარტო კონფერენციის ჩატარება როდი ჰყოფნის. მას პრაქტიკული ქმედებები სჭირდება.

ამიტომ ვაყენებთ წინადადებას:

1. შემუშავდეს ქართული ენის დაცვისა და განვითარების სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი სახელმწიფო პროგრამა.

2. რეალურად ამოქმედდეს საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებს და მის მოვლა-პატრონობას მოითხოვს.

3. შეიქმნას დამატებითი კანონები, კანონქვემდებარე აქტები სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების შესახებ.

4. შეიქმნას სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფო დონეზე უზრუნველყოფს დედაენის სიწმინდის დაცვას.

5. გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენის გრამატიკისა და სტილისტიკის სწავლება როგორც საშუალო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

6. დაუბრუნდეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ უალტერნატივო სახელმძღვანელოს სტატუსი პირველკლასელთათვის.

7. მტკიცედ იქნას დაცული ქართული ენის ნორმები სახელმწიფო დაწესებულებებში, რადიო-ტელევიზიებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და გამომცემლობებში.

8. საზოგადოებრივ არხზე სპეციალური გადაცემები მომზადდეს ენის სიწმინდის საკითხებზე, აღდგეს მეტყველების კულტურის კურსი უმაღლეს სასწავლებლებში, გამოიცეს მეცნიერულად დამუშავებული სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები.

ეს ჩამონათვალი, ცხადია, არ არის სრული. იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი წინადადებები გათვალისწინებული იქნება ქართული ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამაში.

ძვირფასო თანამემამულენო! ქართველებო! ვიზრუნოთ მშობლიური ენის გადარჩენისათვის! შეგახსენებთ იუნესკოს საგანგაშო განცხადებას იმის შესახებ, რომ გლობალიზაციის პროცესებიდან გამომდინარე, მსოფლიოში არსებული 7 ათასამდე ენიდან ნახევარზე მეტს სიკვდილი ემუქრება. საშუალო გაანგარიშებით ყოველ ორ კვირაში ერთი სალაპარაკო ენა კვდება. თუ ყოველმა ჩვენგანმა ქართული ენის სიწმინდის დაცვა სისხლხორცეულ საქმედ არ მიიჩნია, დღეს იქნება თუ ხვალ მკვდარ ენებს შორის შეიძლება ქართული ენაც აღმოჩნდეს.

ნუ ვიზამთ ამას! ნუ წავალთ ჩვენი ენისა და ერის თვითლიკვიდაციის გზით!

ინფორმაცია

# ხუდონჰესს ინდოელები ააშენებენ

**ხუდონჰესს ინდური კომპანია კონტინენტალ ენერჯი ააშენებს, - ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა. გილაურის თქმით, კონტინენტალ ენერჯიმ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება უკვე დაასრულა და მთავრობა კომპანიასთან ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ხელშეკრულებას უახლოეს დღეებში გააფორმებს. გილაური აცხადებს, რომ ხუდონჰესის მშენებლობისთვის წინასაპროექტო სამუშაოების განხორციელება წელსვე დაიწყება, თუმცა 2012 წლის დასაწყისიდან უკვე უშუალოდ ჰესის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება.**

**— ჩვენ დაახლოებით წელიწადნახევრის უკან ხელშეკრულება გავაფორმეთ ინდურ კომპანია კონტინენტალ ენერჯისთან, რათა ამ კომპანიას პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება გაეკეთებინა: თუ რამდენად შეიძლებოდა ხუდონის მშენებლობა და რამდენად მომგებიანი პროექტი იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით დღევანდელი ეკონომიკის პირობებში. შესწავლა დასრულებულია და კონტინენტალ ენერჯისთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება და მთავრობის სხდომაზე ხელშეკრულების გაფორმების საკითხს განვიხილავთ, რომელიც უახლოეს დღეებში ინდურ კომპანიასთან გაფორმდება, — განაცხადა ნიკა გილაურმა.**

**პრემიერ-მინისტრის თქმით, ხუდონჰესის სიმძლავრე 650 მეგავატი იქნება, მაშინ როდესაც მთავრობაში რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა. პრემიერ-მინისტრის თქმით, ხუდონჰესის მშენებლობისათვის დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციაა საჭირო.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# ჩემი უბედური თაობა

**სოფთარი არსებაა ადამიანი: თავისი თავის მოტყუების უნარი და, რაც მთავარია, ამ ირაციონალური ქმედების მიმართ ავადმყოფური მიდრეკილება, ხშირად მატებს მას დამატებით ენერგიის, მიმართულს სოციალური, პოლიტიკური, მოქალაქეობრივი, კერძო და ყოფითი აქტიურობისკენ.**

30-ლარიანი ვაუჩერების განაღდების რიგში სამი ადამიანის საუბარს მოვკარი ყური. სამივე ჩემი თაობისა იყვნენ...

**1-ლი მამაკაცი** — ეჰ, რას მოვესწარით...

**ქალბატონი** — ...ნუ იტყვით, ნუ იტყვით...

**მე-2 მამაკაცი** — რას ვიზამთ — უნდა მოვითმინოთ...

**1-ლი მამაკაცი** — ...ასეთი დროა... მაგას როგორ წარმოვიდგენდი, რომ მოვესწრებოდი!..

**ქალბატონი** — ნუ იტყვით!

**მე-2 მამაკაცი** — აბა, აბა... (ჩემსკენ მობრუნდაძ ეჰ, ძველი დრო რა იყო...

**1-ლი მამაკაცი** — (ისიც ჩემსკენ მობრუნდაძ ...რა გვინდოდა ამ რუსებისგან — რას ვერჩოდით?

**ქალბატონი** — ...არ გამახსენოთ!

**მე-2 მამაკაცი** — გვაჭმევდნენ, გვასმევდნენ — ვყოფილიყავით მათთან!..

**1-ლი მამაკაცი** — (მე-2 მამაკაცსძ გახსოვთ მოსკოვამდე ბილეთი რა ღირდა?

**ქალბატონი** — კი, კი — ჩემი ბიჭი ხშირად დაფრინავდა...

**მე-2 მამაკაცი** — (ჩემსკენ მობრუნდაძ ვჭამდით, ვსვამდით... მაგათ ქალებსაც... (თვალი ჩამიკრაძ.

**1-ლი მამაკაცი** — ... რა ცხოვრება იყო!

**ქალბატონი** — ასეთ დღეში რომ ვართ, ვინ აგებს პასუხს?..

**მე-2 მამაკაცი** — ჰო, ვის უნდა მოჰკითხო?..

**1-ლი მამაკაცი** — მოეკითხებათ! მოვა დრო და ყველას მოეკითხება!

კაცმა ჩემსკენ შეთქმულივით გამოიხედა — ერთი თაობის ვართო და შენც, უეჭველია, ასევე ფიქრობო.

გაჭირვებული ცხოვრება აუტანელია და ადამიანის გაგიჟებაც და თვითმკვლელობამდე მიყვანაც შეუძლია. ამ პროტესტს, მოთხოვნას და გაავებას მისამართიც აქვს: ხელისუფლება — სრულიად მარტივი და ნათელი ვითარებაა. ამაზრზენია ის, რომ ადამიანი საბრძოლველად კი არ ემზადება, რათა საკუთარ ქვეყანაში საკუთარი ცხოვრება მოიწესრიგოს, განაახლოს და შესცვალოს, არამედ მისი გაგებით მოწესრიგება და განახლება მონობისკენ შებრუნებაა! იქ, მონობაშია მისი სანატრელი ულუფა, მეტად პირობითი, შეზღუდული თავისუფლება და, რაც მთავარია, სრული უპასუხისმგებლობა. მონას არ ეკითხება მისი აწმყო და სამომავლო ცხოვრება — არ ეკითხება სად და როგორ იცხოვროს, რა და რამდენი ჭამოს, სად გაემგზავროს, ან სად აირჩიოს საცხოვრებელი. ამას ყველაფერს აწესრიგებს ბატონი.

ამ სამი თბილისელის საუბარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ძველი ჭეშმარიტება: მონობისგან განთავისუფლება იწყება ადამიანის თავში — ჯერ შინაგანი თავისუფლებაა და მერე ფიზიკური, პოლიტიკური, სოციალური...

ის 45-55 წლის ასაკის სამი მონა ჩემი უბედური და გარყვნილი თაობაა. სწორედ ის თაობაა, რომელიც ყველა დანარჩენ თაობაზე მეტად წარმატებით ეგუებოდა კომუნისტურ მონობას: ეშმაკობდა, მლიქვნელობდა, ცუღლუტობდა, ფეხებს უკოცნიდა და ხოტბა-დიდებას ასხამდა კომუნისტურ პარტიას და ამაყობდა კიდეც მიღწეულით — იმ მცირეოდენისთვის რასაც „ბატონი“ გადაუგდებდა ან ნებას დართავდა.

და დღესაც ეს ის თაობაა, რომელიც მზადაა ტაში დაუკრას ბურჯანაძეს, ნოღაიდელს, კიწმარიშვილს, ოქრუაშვილს, კუკავას... ოღონდ ძველი ცხოვრება დაუბრუნდეს.

აქ პრინციპული სხვაობაა: არა ქვეყნის უკეთესად მოწყობა, არამედ წარსულში დაბრუნება, რაც ბუნებრივად გამორიცხულია — ისტორიამ უკუსვლა არ იცის.

ყველაზე ტრაგიკული და სასაცილო ისაა, რომ ამ არარეალური ოცნებისკენ სწრაფვას მიჰყავს ჩემი თაობა კოლაბორაციონიზმისკენ, ანუ სამშობლოს ღალატისკენ.

დღეს, სამწუხაროდ, ქვეყნისთვის აშკარად სახიფათო ვითარებას ვაწყდებით: ჩვენს შინაგან პოლიტიკაში კოლაბორაციონიზმის ხსნება იშვიათია. საზოგადოებაში ეს პოლიტიკური სიბეცის ნიშნად გვევლინება, რაც აშკარად საშიში სიმპტომია.

— ჩემს თაობაში ეს სიტყვა არ იხმარებოდა და ბევრმა მათგანმა არ იცის მისი მნიშვნელობა. ამიტომ, სანამ კონკრეტიკაზე გადავიდოდე, თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე განმარტება შევახსენო:

- **პოლიტიკანი (ფრ. Politiquant)** —ადამიანი, რომელიც (პოლიტიკოსისგან განსხვავებითძ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებს, შეგნებულად (ხშირად პირადი, ანგარების მიზნითძ სხვა, მეორეხარისხოვან, ნაკლებად მნიშვნელოვან, არაპრინციპულ საკითხებზე ცვლის;
- **ინტრიგანი (ფრ. Intrigant)** — ადამიანი, რომელიც მუდამ გართულია (დასაქმებულიაძ ინტრიგებით, ანუ მზაკვრობით, ხრიკებით.
- **დემაგოგი (ბერძნ. Demagogosძ** — პოლიტიკანი, რომელიც პოპულარობის მოპოვებას ულირსი მეთოდებით (დამახინჯებული, შერყვნილი, გაუკულმართებული ფაქტების მეშვეობით — რეალობის ცრუ სურათის შექმნითძ ცდილობს.
- **კოლაბორაციონისტი (ფრ. Collaboration თანამშრომლობა, ერთობლივი მოქმედება)** — გამცემი, სამშობლოს მოღალატე; ადამიანი, რომელიც ოკუპირებულ ქვეყანაში ან ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მტერთან თანამშრომლობს.

**რაში მდგომარეობს ბურჯანაძის, ნოღაიდელის, კიწმარიშვილის, ოქრუაშვილის, კუკავას პოლიტიკანობა?**

ჭეშმარიტი პოლიტიკოსი, პირველყოვლისა, ზუსტად და გასაგებად ახასიათებს პოლიტიკურ სიტუაციას. ჩვენს მდგომარეობაში ერთადერთ კითხვას უნდა გაეცეს მკაფიო პასუხი: არის თუ არა ჩვენი სახელმწიფო ომის ვითარებაში? თუ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, თუ აგრესორ ქვეყანასთან არ დადებულა ზავი, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიები ჩვენს მიერ აღიარებული არიან როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილები და ამავე დროს აგრესორ ქვეყანასთან გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა — ეს ომის ვითარებაა. ბურჯანაძე და სხვა ხსენებული პირები კი შეგნებულად გაურბიან, ერიდებიან რეალური ვითარებიდან გამომდინარე ტერმინოლოგიას — ცდილობენ საჯაროდ არ ახსენონ: აგრესია, ომი, ინტერვენცია, ოკუპაცია, ეთნიკური წმენდა... უმთავრესი, ცხადი და უტყუარი, ფაქტების მოყვანის მაგივრად, ისინი გადადიან მომხდარის „შედეგობრივ ანალიზზე“ — მიკერძოებულ ხედვაზე, ინტერპრეტირებაზე.




**რაში მდგომარეობს ბურჯანაძის ნოღაიდელის, კიწმარიშვილის, ოქრუაშვილის, კუკავას ინტრიგანობა?**

თუ უცხო სახელმწიფოს ჯარმა, თუნდაც გაუსროლელად, გადაჰკვეთა მეორე სუვერენული სახელმწიფოს საზღვარი — ეს ინტერვენციის დასაწყისია, ანუ — ომი. ამ ომის დამწყებს არაფერი ამართლებს: არც მეზობელ სახელმწიფოში არსებული სეპარატისტული პრობლემები, არც სეპარატისტების მხრიდან „შველის თხოვნა“. როგორ ართმევს თავს სახელმწიფო მის ტერიტორიაზე სეპარატიზმის პრობლემებს — მისი შიდა პოლიტიკის სფეროა. ჭეშმარიტმა ოპოზიციურმა პოლიტიკოსმა, რასაკვირველია, უნდა იმოქმედოს, მაგრამ არა მტრის, ოკუპანტის სასარგებლოდ, ვინაიდან მტრის „წისქვილზე წყლის მიშვება“ — მზაკვრობაა სამშობლოს და შენი სახელმწიფოს მიმართ. ამ შემთხვევაში ხსენებული ჯგუფის ოპოზიციურობა აშკარად სცილდება შიდა პოლიტიკურ ბრძოლას და საერთაშორისო პოლიტიკურ ინტრიგანობაში გადადის.

**რაში მდგომარეობს ბურჯანაძის, ნოღაიდელის, კიწმარიშვილის, ოქრუაშვილის, კუკავას დემაგოგობა?**

რუსული ინტერვენციის, როგორც პოლიტიკური მზაკვრობის მიჩქმალვა, პარალელურად კი საქართველოს, როგორც „წამქეზებლის“ (მისი ხელმძღვანელობის სახითძ დამნაშავედ გამოცხადება. სწორედ ეს გახლავთ უსაზღვრო დემაგოგიის კლასიკური მაგალითი.

**რაში მდგომარეობს ბურჯანაძის, ნოღაიდელის, კიწმარიშვილის, ოქრუაშვილის, კუკავას კოლაბორაციონიზმი?**

ყველასთვის, ვინც კი ოდნავ მაინც თვალს ადევნებს პოლიტიკას, ცხადზე უცხადესია, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის უმთავრესი ამოცანაა: **1.)** გაამართლოს საქართველოსთან ომი; **2.)** შემოიკრიბოს დამატებითი „ძალები“ აფხაზეთის და ოსეთის სრული ლეგიტიმაციისთვის; **3.)** შექმნას პრორუსული პოლიტიკური პლაცდარმი თბილისში; **4.)** ყოველმხრივ მოემზადოს „საქართველოს საკითხის“ დასრულებისთვის — ჩვენი სახელმწიფოს, მისი (რუსეთისძ გავლენის ქვეშ მოსაქცევად.

კერძოდ, ბურჯანაძეს და ნოღაიდელს ამ ჩამონათვალში რამდენიმე „საპატიო“ ფუნქცია ერგოთ. ისინი ერთდროულად რუსეთის ომს ამართლებენ და პრორუსულ პოლიტიკურ პლაცდარმსაც ამზადებენ, რაც რუსეთისთვის საქართველოს საკითხის“ დასრულების“ 60% შეადგენს. არის თუ არა ეს მტერთან თანამშრომლობა, ანუ დაუფარავი კოლაბორაციონიზმი?

რატომ გახდა საჭირო ასეთი, არც ისე რთული, საკითხებისთვის კიდევ ერთხელ თვალის შევლება? როგორ ახერხებს რუსეთი მისი გეგმის ნელ-ნელა განხორციელებას?

ისევ და ისევ ჩემი თაობის ნაწილი, მისი მონური ფსიქოლოგიით, არის სავალალო ფაქტის მიზეზი — საზოგადოების უმეტესი ნაწილი ომისთვის შინაგანად მზად არ არის — სამშობლოს დასაცავად საკმარისი მოტივირება არ გააჩნია.

ამიტომაც, ბანკში შემთხვევით მოსმენილი და თითქოს უწყინარი საუბარი საგანგაშო იყო. ჩემს თაობას, სამწუხაროდ, ვერ მოსთხოვ იმის გაგებას, თუ რა განსხვავებაა მოქალაქის პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ პრეტენზიებსა და კოლაბორაციონიზმის გულშემატკივრობას შორის — უკვე გვიანაა — ასაკი... ეს თაობა ნელ-ნელა მარგინალდება. ამ დეგრადაციის პროცესს ხელი შეუწყო და დააჩქარა ხელისუფლების საზარელმა საკადრო პოლიტიკამ, რომელის შესახებ პრესაში უკვე მქონდა საუბარი.

**არ არსებობს ისეთი ხელისუფლება, რომელიც არ არის დაავადებული საკუთარი PR-ით და დემაგოგიით. არ არსებობს ისეთი ოპოზიცია, რომელიც არ არის დაავადებული საკუთარი PR-ით და დემაგოგიით.**

განსხვავება იმაშია, რომ ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში საზოგადოება არ ტყუვდება არც ერთით და არც მეორით, გაწონასწორებულად აზროვნებს და სალად შეუძლია განასხვაოს მისი პირადი და ქვეყნის ინტერესები ისე, რომ არ გადაიხაროს უკიდურესობაში. ეს ხელისუფლებამაც და ოპოზიციამ კარგად იციან და ამ მიზეზით იძულებულნი არიან საკუთარი PR-ი და დემაგოგია გარკვეული ზომიერების ჩარჩოში მოაქციონ, რაც თავისთავად მათ ქმედებებს მეტ გამჭვირვალობას, კონსტრუქტიულობას ანიჭებს — პოზიტიურობას ჰმატებს.

ჩვენთან კი საზოგადოება ტყუვდება და ამით აქეზებს ხელისუფლებას და ოპოზიციას — ამწვავებს მათ PR-ს და დემაგოგიას. ამრიგად, სადღეისოდ საქმე გვაქვს:

- 55-65-წლიანების თითქმის მთლიანად მარგინალიზებულ თაობასთან.
- კოლაბორაციონისტ პოლიტიკოსებთან, რომლებიც ეყრდნობიან მარგინალიზებული თაობის უმეტეს ნაწილს.
- ხელისუფლებასთან, რომელიც აღვივებს ამ თაობის მარგინალიზაციის პროცესს.
- ამ თაობის სალად მოაზროვნე ნაწილი იმდენად მცირეა, რომ საზოგადოებაში ეფექტური, სალი მსჯელობის გავრცელების იმედი არ არსებობს.

ამ, თითქოს სრულიად უიმედო, მდგომარეობიდან შესაძლო გამოსავალი ახალ, სალად და კონსტრუქციულად მოაზროვნე, პოლიტიკურ მიმდინარეობაშია — ისეთ საზოგადოებრივ ძალაში, რომელსაც ვერც „ოპოზიციას“, და ვერც „სახელისუფლებო პოზიციის მხარდამჭერს“ მივაკუთვნებთ.

პოლიტიკურ სპექტრს სრული, ტოტალური რესტავრაცია სჭირდება, რათა განიკურნოს ყოვლადმომცველ ვოლუნტარიზმისგან. ჩემი და, რაც მთავარია, მომდევნო თაობების მოქალაქეობრივი „სიჯანსაღე“ ამაზეა დამოკიდებული.

**მალხაზ ჟვანია**

## ⊙ ინფორმაცია

### ყირგიზეთის პარლამენტარებმა შენობა ავი სულებისგან განწმინდეს

**ყირგიზეთის საკანონმდებლო ორგანოში ყირგიზმა პარლამენტარებმა შვიდი ცხვრის მსხვერპლთშეწირვით ავი სულების განდევნის რიტუალი ჩაატარეს. „ჩვენი პარლამენტარები ამ სახალხო მეთოდის ჩატარებით, იმედოვნებენ, რომ პარლამენტის შენობის კედლებიდან ავ სულებს განდევნიან“, — აცხადებენ პარლამენტარები. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ამ რიტუალის ჩასატარებლად პარლამენტარებმა თანხა საკუთარი ხელფასიდან გამოყვეს 700 სომის ოდენობით. „შეგროვილი თანხის მხოლოდ ნაწილი მოხმარდა რიტუალის ჩატარებას, დანარჩენი თანხა კი მოხუცებულთა სახლებსა და ბავშვთა თავშესაფრებში გადაირიცხა, —აცხადებს ყირგიზეთის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ვალმოხდილი

**თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, კვების მრეწველობის დარგის მეცნიერების აღიარებული ორგანიზატორი ანდრო ნიკიფორეს ძე ნიჟარაძე დაიბადა 1911 წ. წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში. მამა სკოლის დირექტორი, რუსული ენის პედაგოგი იყო, დედა — დიასახლისი.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საიდანაც მივლინებულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1942 წ. დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის და კვების პროდუქტების ზოგადი ტექნოლოგიის უფროსი მეცნიერ მუშაკის წოდება.

# საუკუნის გრძელ გზაზე

1952 წ. დაამტკიცეს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო და სამეცნიერო დარგში.

1952 წ. მარტში სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაამტკიცეს სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრად — მებაღეობის, მევენახეობის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მთავარ ინსპექტორად.

1959 წ. დაინიშნა სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების მთავარი ინსპექციის უფროსის მოადგილედ.

1960 წ. დაამტკიცეს სოფლის მეურნეობის აკადემიის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ინსტიტუტის დირექტორად.

1960 წ. ანდრო ნიჟარაძის თაოსნობით დაარსდა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის უცვლელი დირექტორიც იყო 1987 წლამდე.

ინსტიტუტის მშენებლობაში ანდრო ნიჟარაძე იღებდა უშუალო მონაწილეობას. მისი ინიციატივით შემდგომ წლებში შეიქმნა სამეცნიერო ბაზები, ინსტიტუტთან აშენდა ექსპერიმენტული ქარხანა, ქუთაისში, აჭარაში, აფხაზეთში დაარსდა ინსტიტუტის ფილიალები და თეთრწყაროში ექსპერიმენტული ქარხანა.

დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლით, მათ შორის ვავილოვის მედლით.

1968 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1969 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 14 მონოგრაფია, სახელმძღვანელოები, 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ანდრო ნიჟარაძის უშუალო მონაწილეობით საბჭოთა კავშირში, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში და საქართველოში გატარდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება აგროტექნიკის, ჯიშთა გამოცდის, სელექციის, მებაღეობა-მევენახეობის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში.

ანდრო ნიჟარაძე იყო სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მებაღეობის, მევენახეობის და სუბტროპიკული კულტურის დარგში ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სექციის თავმჯდომარე მებაღეობაში, ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის წევრი, ყურძნისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს წევრი. ჟურნალების „Садоводство" და „Консервная Промышленность" რედკოლეგიის წევრი.

ამ ოფიციალური დოსიეს პარალელურად, ბატონი ანდრო ნიჟარაძის პიროვნულ, სულიერ, ადამიანურ თვისებებზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მცირე ამონარიდები ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლების მოგონებებიდან, რომლებიც გამოქვეყნებულია მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ გაზეთ „თანადგომის" პერსონალურ ნომერში. აი ზოგიერთი მათგანიც:

**„გულახდილად ვამბობ, რომ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, არც თუ ხშირად შემხვედრია ბატონი ანდრო ნიჟარაძის მსგავსი სამაგალითო პიროვნება, წარმატებული ინსტიტუტის წარმატებული დირექტორი და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ასეთი ორგანიზატორი".**

**„ბატონი ანდრო ნიჟარაძის სამეცნიერო ნაშრომების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ყოველი მისი მონაკვეთის შესწავლა ბაჯაღლო სიამოვნებაა. ვინც ამ საიდუმლოში ჩაიხედავს, მიხვდება, რომ მისი ტოლფასი საუკუნის გრძელ გზაზე, თითებზე ჩამოსათვლელი თუ არის შექმნილი ქართული კვების სამეცნიერო-კვლევით მეცნიერებაში".**

**„გმადლობთ უფალო, რომ ამ დიდებულ ადამიანს აღაზრდევინე ჩემი თავი. ნათელი ჰქონდეს მუდამ მის სასუფეველს და ხსოვნა მის სახელს".**

**„საოცრად მაღალი ინტელექტის და მრავალმხრივი ინტერესების მატარებელი იყო ბატონი ანდრო ნიჟარაძე. ნაკლებად შეიძლება დაიჩემოს რომელიმე დაწესებულებამ, რომ მის სცენაზე გამოსულიყვნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორიც კვების მრეწველობის ინსტიტუტის სცენაზე. მირონოვი, ხაზანოვი, ვისოცკი, შირვინტი, ბოშათა ანსამბლი, გურამ საღარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, თათია ხაინდრავა, მედეა კახიძე, ნოდარ ჯალაღონია, ჯანსუღ ღვინჯილია, ავთო მიქაძე — ეს არასრული ჩამონათვალია ჩვენი ინსტიტუტის სტუმრებისა. ჯანსუღ ღვინჯილიამ გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ თავისი წიგნის პრეზენტაცია სწორედ აქ გააკეთა; საარბრიუკენიდან დაბრუნებულმა გურამ საღარაძემ შთაბეჭდილებები და ქართული ლექსის მადლი აქ მოიტანა; ავთო მიქაძემ კი პირველი სლაიდები წმინდა მიწიდან პირველად საქართველოში ჩვენ გვაჩვენა; ვახუშტი კოტეტიშვილი მთიდან ხშირად პირდაპირ ჩვენთან მოდიოდა ხალხური პოეზიის ახალმოპოვებული მარგალიტებით; კონსტანტინე გამსახურდიას იუბილეც პირველად ჩვენს ინსტიტუტში აღინიშნა".**

**ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები**

## უსექსო იუმორი

# სკანდალი ველისხევში

— გიგუშ!

— რაო შაქრა?

— უყურე წუხელ ტელევიზორსა?

— სექსის საყურებლად მცალია, ჯო, გუშინ სიმინდსა ვთესავდი და მთელი ღამე მკვდარივით მეძინა.

— ამერიკული დათესე?

— მაშ, მე სულ მთავრობის რჩევითა ვხნავ და ვთესავ.



— იმიტომაც გაქ ბეღელი სავსე. ეგრე როგორ შეიძლება, ჯო, შენ საკუთარ საჭმელს გადაყევი და ქვეყანა კიდევა სკანდალმა შეჭამა.

— სკანდალმა? კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სად იყო სკანდალი?

— სადა და პარლამენტში, გოკამა და პალიკომ ისეთი ლანძღვა-გინების ქარიშხალი დააყენეს, ჭერიდან სუ ბათქაში ცვიოდა.

— რაო, რა გვინდაო?

— ირაკლი ალასანის თათხავდნენ, ინგლისში სტუმრობისას რაღაც წამოუყრანტალებია და...

— მასეთი რა უთქვამს, კაცო? — ყურები ცქვიტა გიგუშამ.

— რა და მიშას გაზითურება მოუწადინებია, მაგას რო უჯერებთ და საქართველო სტრატეგიულ ქვეყნად მიგაჩნიათ, მტკნარი სისულელეაო.

— უყურე მაგასა, — ტუჩები აპრიხა გიგუშამ, — ვითომ მაგდენი გაუბედა ჩვენს ჭკუისკოლოფა პრეზიდენტსა? შენ როგორა ფიქრობ, შაქრი, სინამდვილეში ვითომ არა ვართ სტრატეგიული ქვეყანა?

— ვართ, აბა არა ვართ, მაგრამა, ჩემო ძმაო, მსოფლიოს გასაგონად კი არ უნდა იღრიალო!

— რატომაც არა რა, თუკი ვართ, რისთვის უნდა დავმალოთ?

— იმისთვისა, ჩემო კარგო, რო არ გადაგვყლაპონ. აგე რუსეთმა მიშას პირდალეზულობით რო შეიტყო, საქართველო სტრატეგიული ქვეყანა ყოფილაო, იფიქრა, ამერიკამ არ დამასწროსო და სანახევროდ უკვე დაგვიპყრო. ჰოდა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თუ ენის ტარტარს არ მოუკლო, ადგება ეს შენი კეთილისმყოფელი მეზობელი და მთლიანად გადაგვსანსლავს.

— ჰოო, ეგ ველარ გავთვალე, — გამოტყდა გიგუშა, — მაგის ამბავი ხო იცი, აქაოდა დემოკრატიული, გამჭვირვალე ქვეყანა ვართო, რაც პირზე მოადგება, ყველაფერს ყბედობს.

— მაგიტომ გეუბნები, ყველაფრის გაშარავება არ შეიძლება, აგე ვანო მერაბიშვილი ნახე როგორ პირმოკეტილი ვინმეა, ამბობენ, ბოკერია რომ ბოკერიაა, იმასაც არ უშვებს შენობის შიგნით, რამე საიდუმლო არ დაამღეროსო.

— არადა, თავად სამინისტროს შენობა როგორი გამჭვირვალეა, არა? — აღტაცება ვერ დამალა გიგუშამ.

— მაგას გეუბნები, გარედან გამჭვირვალეა, მაგრა შიგნით რა ვარამი ტრიალებს, კაციშვილი ვერ გაიგებს. ხო ნახე ტელევიზიით, ამას წინათ შალვა რამიშვილი რომ მიადგა თავის მყვირალა მეგაფონით, მაგრამ ცხვირიც არ შეაყოფინეს, ეგრე უნდა, მსოფლიოს გარედან უნდა მოაჩვენო, გამჭვირვალე ვარო, შიგნით კი ამღვრეულ წყალში მსხვილ-მსხვილი ღლავები იჭირო.

— მაგ გამჭვირვალობაზე გამახსენდა, — თქვა გიგუშამ, — ამას წინათ ერთ ველისხეველ კაცზე ისეთ ამბებს მომიყვნენ, თმამ სუ შრიალი დამიწყო.

— მასეთი რა გაუკეთებია?

— რა და, ვანოს წამხედვაროზით (ეგ ხომ ყველგან პოლიციის გამჭვირვალე შენობებს აგებსძ, იმას კიდევ გამჭვირვალე ტუალეტი აუშენებია.

— არ გადამრიო, ჯო, როგორ თუ გამჭვირვალე?

— აი ეგრე, ეზოში შუშის ტუალეტი ჩაუდგამს, თანაც ისეთი, მხოლოდ წელს ქვემოთ რო ფარავს, რასაც სოფელში დიდი სკანდალი გამოუწვევია.

— რას ედავებიანო?

— სოფლის უპატივცემულობაში დასდეს ბრალი — ღირსება შეგველახაო.

— მერე, ძალით ვერ დაამთავრებინეს?

— ვერა, ისეთი არგუმენტი წამოუყენებია, ყველა გაუჩუმებია.

— რა არგუმენტები?

— გამჭვირვალე ტუალეტი მთავრობის საამებლად ავაშენე, წელს ქვემოთ კი იმიტომ, რო ზედმეტ ხარჯებს მოვერიდეო.

— და მეზობლებმაც მოკეთეს?

— არა, თურმე ერთ მშვენიერ დღეს შეუცვივდნენ და ტუალეტი დაუნგრიეს.

— მერე, უტუალეტოდ როგორა ძლებდა?

— მეტი რა გზა ჰქონდა, თურმე ითმენდა, ვიდრე სასამართლომ საქმე არ გაარჩია და სოფელს მისთვის ახალი ტუალეტის დადგმა არ დააკისრა (ადამიანის უფლებები დაიცვაძ.

— და მაგით დამთავრდა სკანდალი?

— არა, იმ კაცმა თურმე ტუალეტს ზემოთა ნახევარი ისევ მოანგრია და ახლა ხალხი სასამართლოს მეორე განაჩენს ელოდება...

**ოტია ჩართოლანი**

## ინფორმაცია

### დედა-დედოფალი იუბილარია



**დიდი ბრიტანეთის დედოფალს 85 წელი შეუსრულდა. მას ორმაგი მიზეზი აქვს, რათა დაბადების დღეს ამაღლებული განწყობით შეეგებოს. ბრიტანელი მონარქის დაბადების დღე ოჯახურ გარემოში აღინიშნება. ამ თარიღს ელისაბედი 29 აპრილს დანიშნული პრინცი უილიამისა და ქეით მიდლტონის ქორწილამდე ერთი კვირით ადრე აღნიშნავს.**

**უილიამი საგვარეულოში რიგით მესამე ტახტის მემკვიდრეა. ასე რომ, დროთა განმავლობაში მამის პრინც ჩარლზის შემდეგ იგი უნდა გახდეს მეფე.**

**ოთხშაბათს დედა-დედოფალმა მომავალი სარძლოს მშობლები ქალაქგარეთ მდებარე უინძორის რეზიდენციაში მიიწვია. ეს მაიკლ და ქეროლ მიდლტონებთან ელიზაბეტ მეორის პირველი შეხვედრა იყო. დედოფალთან ერთად სტუმრები მისმა მეუღლემაც, ედინბურგის ჰერცოგმა პრინცმა ფილიპმა ლანჩზე მიიღო. სასახლის წარმომადგენელთა თქმით, მაგიდის გარშემო თბილი ატმოსფერო სუფევდა.**

**29 აპრილს კი ისინი კვლავაც შეიკრიბებიან და ვესტმინსტერის სააბატოში უილიამისა და ქეითის ჯვრისწერის ცერემონიალს დაესწრებიან.**

### „დედ ჰასანი" სომხეთს ესტუმრება

**უახლოეს მომავალში სომხეთს ქურდული წრეების „გამოჩენილი" წარმომადგენლები ეწვევიან, რომლებიც ახალი ე.წ. კანონიერი ქურდის „კურთხევის" საკითხს განიხილავენ.**

**გავრცელებული მონაცემებით, წინასწარი ინფორმაციით, „წარმოდგენილია ალიკ ბანდურიანის კანდიდატურა", რომელიც ახლო ურთიერთობებში იმყოფებოდა ახლახან მოკლულ არმენ კანევსკისთან.**

**გაზეთ „არავოტ"-ის ინფორმაციით, სომხეთში, აღნიშნულ შეკრებაზე ასევე აპირებს ჩასვლას ცნობილი ე.წ. კანონიერი ქურდი ასლან უსოიანი, იგივე „დედ ჰასანი".**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 76. პარასკევი, 22 აპრილი, 2011 წელი.

სტანისლავ მარინჩიკი

მოთხრობა

# ჟოკი

**ვუძღვნი ჩემი ბიძაშვილის, ჩორნობილის ატომურ სადგურში მომხდარი ავარიის ლიკვიდატორის ანატოლი შტანკოს ხსოვნას.**

***25 აპრილს, სრულდება 25 წელი ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიიდან. ამ საზარელი კატასტროფის წლისთავთან დაკავშირებით გთავაზობთ უკრაინელი მწერლის სტანისლავ მარინჩიკის მოთხრობას, რომელიც რაულ ჩილაჩავამ თარგმნა და გამოგვიგზავნა.***

ზღვაში ნაღვლიანად ყიოდა დაგვიანებულ წეროთა მწკრივი. გამოსათხოვარი მწუხარე ლოცვა სულს აფორიაქებდა. სოფლის უკაცურ გზაზე მამაკაცი მიაბიჯებდა. გვიანი ზაფხულის მოფარფატე აბლაბუდის ძაფი მის ახალგაზრდულ ქოჩორსა და მკაცრი წარბების ბუჩქებს ჩაწვნოდა.

მოსული პირველად შენიშნა კუდამ – ასე შეარქვეს მეზობლის ზავშვებმა ძაღლს მოკლე კუდის გამო. რამდენიმე წლის წინათ მან ჯაჭვი აიწყვიტა და მოულოდნელი თავისუფლებით მთვრალი მთელი ღამე მეზობლის პალმასთან ერთად სოფლის შემოგარენში დანავარდობდა. გამთენიისას კი მისი ეზოდან გაქრა მასპინძლის მოტოციკლი, რომელიც ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ ბრეზენტგადაფარებული იდგა. სწორედ მაშინ სტაცა ყელსაბმელზე ხელი ორგულ დარაჯს მასპინძელმა, იელვა ნაჯახმა და ძაღლის მშვენება – ფუმფულა კუდი განზე გადავარდა.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ივანს ახლაც თვალწინ ედგა ის დილა. ახლაც ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ავბედითი მოგონება, რომელიც ჟამიდან-ჟამად ზღვის ტალღებივით მოაწყდებოდა ხოლმე, გულს უკუმშავდა და სულს უწეწავდა. აგერ სისხლში მოთხვრილი ძაღლი ეზოს შუაგულში ტრიალებს, გულსაკლავად წკავწკავებს, თითქოს კითხულობსო: განა სხვა სასჯელის გამოგონება არ შეიძლებოდა? ალალად გემსახურებოდი, მხოლოდ ერთხელ დავაშავე და – რად მომექეცი ასე სასტიკად?

ამ დროს შინიდან დიასახლისი გამოვარდა. იგი ამ გაუგონარი მხეცობის დანახვაზე გახევდა და დაზნეული მიაშტერდა დასახიჩრებულ ცხოველს. ყველაფერს რომ მიხვდა, თვალცრემლიანი შინ შებრუნდა. ასეთ უმსგავსობას მარია ქმრისაგან ნამდვილად არ მოელოდა. ივანს მაშინ თვითონაც ვერ აეხსნა თუ რა უჟმურმა და მძვინვარე ძალამ აალებინა ხელში ნაჯახი.

მხოლოდ ერთი თვე გაატარეს შეხმატკბილებულად ივანმა და მარიამ. ეს-ეს იყო დაბინავდნენ კოლმეურნეობის ნაჩუქარ ახალ მყუდრო სახლში, რომ 1986 წლის აპრილის ერთ-ერთ ტრაგიკულ დღეს ქმარი ჩორნობილის ავარიის სალიკვიდაციო მობილიზაციით გაიწვიეს. იქიდან კი ის სულ სხვა კაცად დაბრუნდა. მხიარული და უდარდელი ივანისგან კვალიც არ დარჩენილიყო. ხელ-პირი თითქოს ძალდატანებით დაიბანა და ვახშამსაც უმადოდ შეექცა. ამ ორ მოქმედებას შორის ბოსტნის ბოლოში ის ტანსაცმელი დაწვა, რომლითაც ჩამოვიდა. როცა დასაძინებლად დაწვნენ, მარიამ იგრძნო, რომ ივანი თითქოს გაუცხოებულიყო. სადღაც გამქრალიყო ოდინდელი ვნება და ალერსი. უბედურება ის იყო, რომ ამას თვითონაც გრძნობდა და სასოწარკვეთაში ვარდებოდა. ცოლი შეძლებისამებრ ამშვიდებდა, მაგრამ ივანს საკუთარ თავთან ვერაფერი გაეწყო. განერვიულებული და გაავებული ჭიქას მიეძალა. ცნობილია, ასეთ ცხოვრებას სანამდეც მივყავართ. ნაცვლად იმისა, რომ ერთად ელონათ რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად, სულ უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს. ძაღლი კი ერთგვარ ბოლო წერტილად იქცა მათ დაძაბულ ურთიერთობებში.

მარია ლოკოკინასავით შეძვრა თავის ნიჟარაში და იმ სამალავიდან გამოჩენას არ აპირებდა. ივანი ხვდებოდა, რომ სისულელეს სჩადიოდა, ცოლთან დალაპარაკებაც სცადა, ბოდიში მოუხადა, გაეხუმრა კიდევაც, მაგრამ ვერაფერმა უშველა. მაშინ კიდევ უფრო მიეძალა ნუნუას, და თუმცა აქაიქ ნათელი დღეებიც გამოერეოდა, გაქვავებული მარიას გათბობას მაინც ვერ ახერხებდა.

ერთ საღამოს ივანმა ცოლის ოთახში შესვლა მოისურვა, ეგონა, რომ ჯერ ყველაფრის დაბრუნება შეიძლებოდა, მაგრამ კარი ჩარაზული აღმოჩნდა.

– მარია, გამიღე კარი, ნუ დამტანჯე!..

– რამდენიც არ უნდა მიძახო, არ გაგიღებ! თუ კაკუნს გააგრძელებ, მეზობლებს დავუძახებ!.. – მარიას ისეთი მშვიდი და უდარდელი ხმა ჰქონდა, რომ გაცოფებულმა ივანმა წონასწორობა დაკარგა.

– უ-უ-უ!.. – მგელივით აყმუვლდა იგი, მერე კი ანგარიშმიუცემლად წამოიძახა:

– ძუკნავ, უბედურო!

ამ შეურაცხყოფამ ქალს მოთმინების ფიალა აუვსო და კიდევ უფრო უხეშად ათქმევინა:

– ამას შენ მეუბნები, ჩორნობილის ცვედანო!

სახლში უცებ ყველაფერი მიწყნარდა, მხოლოდ ისღა ისმოდა თუ როგორ მოწვეთავდა ონკანიდან წყალი და ტკაცუნებდნენ გახურებულ ღუმელზე ლოზიოს გადამხმარი პარკები.

დილაუთენია წავიდა მარია ფერმაში. როცა გვიან საღამოს დაბრუნდა, ივანი შინ არ დახვდა. არც ნივთჩანთა ჩანდა, რომელიც ყოველთვის აივნის ჭერქვეშ კაუჭზე ეკიდა. იმ ჩანთით ივანი არმიიდან დაბრუნდა, ახლა კი ყოველთვის თან დაჰქონდა სანადიროდ თუ სათევზაოდ. მაგრამ მისდა გასაკვირად ანკესები და თოფი ადგილზე იყო. ივანი არც ღამის გასათევად დაბრუნებულა. როცა იგი მომდევნო დღეებშიც არ გამოჩნდა, მარიამ ველარ მოითმინა და გარაჟს მიაკითხა. კუთხეში ობლად იდგა მისი „გაზონი“. თუ სად გაჰქრა მძღოლი, არც გარაჟის გამგემ იცოდა და არც სხვა მძღოლებმა. ვერც კოლმეურნეობის კანტორაში შესძლეს რაიმეს თქმა.

სამი წლის მანძილზე ივანს ხმა არ მოუწვდენია. თითქოს კუდასაც დაავიწყდა თავისი ავისმყოფელი, მაგრამ აგერ ახლა პირისპირ შეეფეთა პატრონს. ძაღლი თითქოს საგონებელში ჩავარდა და არ იცოდა რა ექნა: ბოსტნის ბოლოსკენ გაქცეულიყო, სადაც დიასახლისს კარტოფილის ბოლქვები ამოჰქონდა თუ შეხვედრით გამოწვეული სიხარულისგან აწკმუტუნებულიყო? ცხოველი გადაწყვეტილების მიღებას ცდილობდა, ივანი კი გაქვავებული იდგა და ხან ძაღლს შესცქეროდა, ხან კიდევ იქვე მდგარ საზავშვო ეტლს, რომელშიც საბანში გახვეულ ჩვილს ეძინა. ბავშვის თავზე ძახველის ტოტები დახრილიყო.

კუდა ეტლს მიუახლოვდა, თითქოს უძვირფასესი განძის დაცვას აპირებსო. ივანი თავის სქელი წარბებიდან ვითომ მრისხანედ იყურებოდა, თუმცა თვალთა გუგებში სითბო უბრწყინავდა. ცხოველს ეს არ გამოპარვია და ერთგვარად მოლბა. ეს იგრძნო ოდინდელმა მასპინძელმა და ძაღლს დაუყვავა:

– ჟოკ!

ეს იყო ძაღლის ნამდვილი სახელი, ამაყი და სრულხმოვანი. ასე ეძახდნენ მას იმ ტრაგიკულ დილამდე, როცა კუდი დაკარგა. ამ სიტყვის გაგონებაზე ძაღლი თითქოს გაიწელა და გაღიდდა, თვალებში კი მუგუზლებივით გაუბრწყინდა. იგი სიხარულს ვერ მალავდა, მთელ სხეულს რომ დაუუფლებოდა და მოკლე კუდს მისალმების ნიშნად აქიცინებდა. ივანმა ცრემლები ვერ შეიკავა. გაახსენდა, როგორ ნახა პირველად კუდა, როცა იგი ჯერ კიდევ ბრმა ლეკვი იყო. ეს იმ გაზაფხულზე მოხდა, როცა ის და მარია საშუალო სკოლას ამთავრებდნენ. როგორც ყოველთვის, ერთად მიიჩქაროდნენ ცეკვის რეპეტიციაზე კულტურის სახლში. ტბის სანაპიროზე თვალი მოჰკრეს თუ როგორ ახრჩობდა წყალში კოტლიარაანთ დედაბერი პატარა ლეკვებს. რა თქმა უნდა, ალშფოთდნენ, ატეხეს ყვირილი, მაგრამ მხოლოდ ერთის გადარჩენაღა მოახერხეს. გაწუწული ლეკვი სიცივისგან კანკალებდა. დედაბერი უკბილო პირით თავის გასამართლებლად რაღაცას ჩიფჩიფებდა: ძუკნას ვიღაცამ ბარით ხერხემალი გადაუმსხვრია და მომაკვდავმა ისღა მოახერხა, ეზოში ფორთხვით გადმოსულს ლეკვები გაელოკა, მერე კი მათ გვერდით სული აღმოხდა. ამიტომ იძულებული გავხდი ეს ლეკვები თავიდან მომეშორო, რადგან საცოდავი ლავლავით გული გამიწვრილესო.

ივანმა გადარჩენილი ლეკვი პერანგში ჩამალა, რომელიც მას დრუნჩით მუცელზე მიეყრდნო და საცოდავად აწკმუტუნდა. კულტურის სახლამდე იგი გაშრა, გათბა და გაჩუმდა.

მაშინ რეპეტიციაზე მოცეკვავეები სწავლობდნენ მოლდავურ ხალხურ ცეკვას „ჟოკს“. ცეკვისას ივანი და მარია თვალს არ აშორებდნენ სავარძლების პირველ რიგს, სადაც ერთ-ერთ მათგანზე მარიას თბილ ზედატანში ლეკვი მოკალათებულიყო. აქეთობისას გადაწყვიტეს ლეკვისთვის ჟოკი დაერქმიათ, რადგან ეს ცეკვა მისი გადამრჩენელი აღმოჩნდა. რეპეტიცია რომ არა, ისინი ლეკვს ვერ ნახავდნენ. მარიამ იგი შინ წაიყვანა, საწვეთარით ასმევდა რძეს, გვერდით იწვენდა, სანამ ჟოკი არ გამოკეთდა.

ერთი წლის მერე ივანს არმიაში აცილებდნენ. რკინიგზის ბაქანზე მოირბინა ჟოკმაც და როგორადაც არ ცდილობდა მარია მის შეკავებას, ხელიდან დაუსხლტა და მანამდე მისდევდა მატარებელს, სანამ იგი თვალს არ მიეფარა. მობრუნებული მიწაზე დაეცა და თავგანწირული სირბილით ქანცგაწყვეტილი დიდხანს ითქვამდა სულს. ორი წლის შემდეგ კი იმავე ბაქანზე იგი მარიასთან ერთად ივანს ხვდებოდა. სანამ ქალი ივანის ვაგონამდე მიირბენდა, ძაღლმა მოასწრო ჭაბუკის ხელი მოელოკა. ბუნებით მშვიდობიანი ძაღლი მზად იყო ყოფილი პატრონისთვის წყენა ეპატიებინა და მასთან ძველებურად ემეგობრა. თუმცა უკუდობა ძნელია, მაგრამ უპატრონო ეზო უარესია. ივანის არყოფნაში ჟოკმა ეს კარგად შეიგნო. იგი ხედავდა, როგორ იდგა ჭიშკარს გადაღმა მარია და დიდხანს, მოთმინებით ელოდა ვიღაცას. ძაღლი ხვდებოდა, რომ იგი ივანს ელოდა, მაგრამ იგი არ ჩანდა. დღითი დღე მარია სულ უფრო იშვიათად გადიოდა ეზოს გარეთ, ბოლოს კი საერთოდ შინ ჩაიკეტა. ძაღლი დიდად ემადლიერებოდა მარიას, რადგან მხოლოდ იგი ეძახდა ჟოკს. სხვებისთვის იგი კუდა იყო, რაც მას შეურაცხყოფდა.

ერთხელ როგორღაც მათ ეზოსთან მილებით დატვირთული ვეებერთელა მანქანა გაჩერდა. მარდი, მწითურქოჩორა მძღოლი რომელიღაც პოპულარული მელოდიის სტვენით და ქანჩების ჟღარუნით ჯიუტად არემონტებდა მანქანას. მან ეზოში შემოირბინა და მარიას სათლი სთხოვა. ჭიდან წყლის ამოღებისას ჯაჭვი გაწყდა და სათლი ზედ ფსკერზე დაეხეთქა. მძღოლი ამის გამო ძალიან შეწუხდა და უხერხულობისგან ხელები გაასავსავა. დიასახლისი გომურში შევიდა და თოკზე გამოზმული კანჯო გამოიტანა.

– აჰა, როგორც ჩააგდე, ისე ამოიღე...

– არა ვარ საქმის კურსში...

– აი, ასე, თქვა ქალმა და უჩვენა, როგორ გააკეთებინა.

მძღოლმა კანჯო ჭაში ჩაუშვა, მარიაც მიეხმარა და როგორც იქნა, სათლი ამოათრიეს. სანამ ქალი მას თიხას აშორებდა, მწითურმა ჯაჭვი შეაერთა და წყლის სახლში შეტანა გადაწყვიტა. როცა დაინახა, რომ კიბეზე ორი ფიცარი ეს-ესაა უნდა ამძვრალიყო, აიღო ჩაქუჩ-ლურსმანი და დააჭედა. მაცივრის ჩამრთველში რაღაც ხინჯი შენიშნა, ცოტა წაუკირკიტა და ისიც შეაკეთა.

ამ დღის მერე მწიტური ხშირად აკითხავდა მარიას. ყოველთვის რაღაცას ურემონტებდა, რაღაცაში ეხმარებოდა. ზოგჯერ კი იმავე მელოდიის ღიღინითა და ბაღის მზერით ტკბებოდა. ეს ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ივანმა ერთხელ მარიასთან გადაიღამა. მერე ასეთი სტუმრობები გახშირდა. ასე იყო მანამდე, სანამ სირცხვილისგან გაწითლებულმა ახალგაზრდა ქალმა ყურში არ უჩურჩულა, ფეხმძიმედ ვარო. მწითური უცებ გაჩუმდა, სტვენა შეწყვიტა, თითქოს სუნთქვა შეეკრაო. მერე ზედიზედ მიაყარა:

– რაო, მარუსია, ჩემი შეზმა გადაწყვიტე? ტყუილად გიჩქარია, არ გამოგივა. ხოლო სახლიდან გასვლისას დაამატა:

– ვოზშემ, მე შენ არ გიცნობ, შენ კი მე! მიხვდი? ადიუ!

მან ბრაზით მოიჯახუნა სატვირთო ავტომანქანის კარი და გზაზე მტვრის ბული დააყენა. მას შემდეგ იგი სამუდამოდ გადაიკარგა... ჟოკი ხედავდა, როგორ უჭირდა მარიას დღითი დღე მეურნეობის გაძღოლა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს პაწაწინა არსება გაჩნდა.

მის გამოჩენას კი წინ ეზოდან მარიას გაქრობა უძღოდა. იგი მთელი კვირა არ გამოჩენილა. ოჯახს მაშინ მეზობლის ქალი უვლიდა და ძაღლმა ამ ხნის მანძილზე მისგან ბევრი შეურაცხყოფა აიტანა. იგი წარამარა კუდას ეძახდა, არ აძლევდა საჭმელს, უმიზეზოდ უჯავრდებოდა. ამიტომაც, როცა ერთ მშვენიერ დილას ეზოსთან საზიდარი გაჩერდა და იქიდან რაღაც სათუთი ფუთით ხელში დიასახლისი ჩამოვიდა, ძაღლმა სიხარულისგან არ იცოდა, რა ექნა.

დიაცმა ხრომირებული ჩექმების ჭრაჭუნით ფრთხილად გაიარა ლორთქო ბალახზე და განძი შინ შეიტანა. სულ მალე ძაღლსაც მოუწია გაცნობა იმ განძთან. ზაფხულის დამდეგს ქალი მას გარეთ, ძახველის ჩრდილში აწვენდა. ძაღლი დიდხანს ვერ ბედავდა მიახლოებას, რადგან მანდ რაღაც ცოცხალი არსება ეგულებოდა, რომელიც ხვანხვალებდა და ტუჩებს აწკლაპუნებდა. როცა პატარა ტირილს მორთავდა, ოთხფეხა მცველი ბოსტანში გარბოდა და ჩახლეჩილი ხმით დიასახლისს უხმობდა.

ზაფხული მიილია. შეწყვიტეს ჭრიჭინი ჭრიჭინებმა, შემოდგომა მეწამული ფოთლების შრიალით ნახევრად გადამშრალი უდაის ნაპირებს ელამუნებოდა.

მარიას სულ უფრო იშვიათად, მხოლოდ მზიან დღეებში გამოჰყავდა ბავშვი გარეთ. ჟოკს სიამოვნებდა, რომ მარტო არ იყო და უფრო მეტიც – ბავშვის დაცვით მნიშვნელოვან დავალებას ასრულებდა. ამასობაში კი ოჯახის უფროსიც გამოჩნდა.

ივანმა დაინახა, რომ ძაღლი მზად იყო ძველი წყენის საპატიებლად და პატარას მიუახლოვდა. ჟოკი უცებ ადგილიდან მოწყდა და მხიარული წკავწკავით სახლის უკან ბილიკზე გავარდა. რამდენიმე წუთში მარიაც გამოჩნდა და ქმარყოფილის დანახვაზე ერთ ადგილას გახევდა.

– მოხვედი?

– მოვედი...

ჩამოვარდა უცნაური სიჩუმე. მარია ივანს შეჰყურებდა და სდუმდა. ისიც წარამარა იშორებდა თავიდან გვიანი ზაფხულის აბლაბუდებს და კრინტს ვერ ძრავდა. როგორც იქნა, მიუახლოვდა მარიას და ნაზად შეეხო თმებზე, რომლებშიც ასევე ვერცხლისფერი აბლაბუდა ბრწყინავდა. მარიამ სევდანარევად გაიღიმა:

– ეს გვიანი ზაფხულის კი არა, ჩემი უძილო ღამეების ბრალია! შენ ასე დიდხანს არ ჩანდი, რომ მეგონა უკვე...

– სადღაც დავიკარგე? მე კი მოვედი...

– დიდი ხნით?

– ეს უკვე შენზეა დამოკიდებული. მაპატიე, მარია, რაც გაწყენინე.

– შენც მომიტევე, ივან, რომ თავი ვერ შევინახე!..

ჟოკმა, ალბათ, იგრძნო, რომ დადგა შერიგების ჟამი. იგი კმაყოფილი წკავწკავით თვალებში მისჩერებოდა ივანს და მარიას და მხიარული კუნტრუშით პატრონებს ხელებს ულოკავდა.

ამ დროს ბავშვი შეტოკდა და ისინი საბავშვო ეტლთან მივიდნენ. მარია აჭიჭყინებული ქალიშვილის თავთით დაიხარა, მაგრამ ივანმა დაასწრო, ბავშვი ხელში აიყვანა და მშობლიურ სახლს პირველმა მიაშურა.

**უკრაინულიდან თარგმნა**
**რაულ ჩილაჩავამ**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამერიკელი სენატორი აცხადებს, რომ საქართველოს მომავალი არ უნდა „გაიწიროს გადატვირთვის სახელით“

**ამერიკის სენატის დელეგაციის ხელმძღვანელმა თბილისში განაცხადა, რომ ვაშინგტონმა არ უნდა „გაწიროს საქართველოს მომავალი“ მოსკოვთან უკეთესი ურთიერთობის გულისთვის.**

სენატორმა ჯონ კაილმა, რესპუბლიკელმა არიზონადან, ჩვენთან საუბარში განაცხადა 19 აპრილს, რომ „ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის უნდა მიდიოდეს თავისი გზით და იგი არ უნდა გაუმჯობესდეს რაიმეს გაწირვით ჩვენი მეზობლების და მოკავშირეების საზიანოდ, და ჩვენ, რესპუბლიკელები, განუხრელად ვუჭერთ მხარს ასეთ თვალსაზრისს“.

მან დაუმატა, რომ „ამ თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს ზოგიერთი უთანხმოება მოქმედ ამერიკულ ადმინისტრაციასთან“.

კაილი, რომელიც ორდღიანი ვიზიტით იმყოფება საქართველოში კიდევ სამ ამერიკელ სენატორთან ერთად, შეხვდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის ვიცე-სპიკერს გიგი წერეთელს, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას, ოპოზიციის წარმომადგენლებსა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგული მისიის წარმომადგენლებს.

კაილმა განაცხადა, რომ დელეგაციის ძირითადი მიზანია (იგი საქართველოს გარდა იყო აგრეთვე უკრაინასა და ბალტიისპირეთის სამ რესპუბლიკაშიც) – გამოარკვიოს, რა გავლენა აქვს პრეზიდენტ ბარაკ ობამას „გადატვირთვის პოლიტიკას“ თავის მოკავშირეებზე აღმოსავლეთ ევროპაში.

კაილმა თქვა, რომ სენატორებმა თავიანთი შეხვედრების დროს განიხილეს პრობლემური საკითხები, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას, მათ შორის ეროვნული უშიშროების, რუსეთთან დაკავშირებული პრობლემები, ელექტორალური რეფორმა და შესაძლო შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ თბილისსა და ვაშინგტონს შორის.



მან განაცხადა, რომ საქართველო „მოძრაობს ძალიან სწრაფად, რათა სხვა ქვეყნებს აჩვენოს, თუ როგორ შეუძლია დემოკრატიას გააუმჯობესოს ქვეყნის მომავალი, და ჩვენ გვინდა მხარი დავუჭიროთ და წავალახისოთ საქართველო ამ გზაზე.

კაილმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებას ესმის, რომ „არის სერიოზული პრობლემები საქართველოს წინაშე“ და რომ ოფიციალური პირები თბილისში „აღიარებენ: ყველაფერი დიდებულად როდია და მათ კიდევ მოუწევთ გრძელი გზის გავლა“.

მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ როდესაც ვლაპარაკობ რესპუბლიკური პარტიის სახელით, იმედი მაქვს, რომ შეერთებული შტატები არ გასწირავს საქართველოს მომავალს რაღაც „გადატვირთვის თეორიული ურთიერთობით რუსეთთან... არც ერთი ქვეყანა და არც ერთი ხალხი არ უნდა გახდეს პაიკი, ხურდა ფული ამ ურთიერთობებში, პაიკი, რომელიც გასწირა შეერთებულმა შტატებმა სურვილის გამო – იქონიოს უკეთესი ურთიერთობა რუსეთთან“.

კაილმა თქვა, რომ თუ საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფა ნიშნავს „თავდაცვითი შეიარაღების შეძენას“, მაშინ იგი მხარს უჭერს ამას. მან თქვა, რომ ვაშინგტონისთვის მნიშვნელოვანია მხარი დაუჭიროს საქართველოს სურვილს გახდეს ნატოს წევრი.

კაილმა აგრეთვე განაცხადა, რომ საქართველოს ურთიერთობა ირანთან „გარკვეულწილად“ უკვე განიხილეს. მან დაუმატა, რომ „საქართველო ცხოვრობს თავის გარემოცვაში. მანამ, სანამ ურთიერთობა საქართველოსა და ირანს შორის არ არის მტრული ამერიკის ინტერესებთან დაკავშირებით, ცხადია, ჩვენ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავთ ასეთ ურთიერთობათა განვითარებაში“.

Radio Free Europe Radio Liberty

---

**მომავალ კვირას ბერნში განახლდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით. ამ რაუნდის თავისებურება არის ის, რომ ვაშინგტონი, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის წევრობას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ჩამოშორდა ამ მოლაპარაკების პროცესს, რომელშიც შეიძლებოდა შეესრულებინა პოზიტიური როლი, დაერწმუნებინა საქართველო გადახედოს რუსეთის ფედერაციის ამ ორგანიზაციაში შესვლის პირობებს.**

უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ნებისმიერ ფასად შესვლის ამოცანა არ არსებობს.

ოთხშაბათს სახელმწიფო დუმაში მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიშით გამოსვლის დროს ვლადიმერ პუტინმა თქვა, რომ „რუსეთს სჭირდება მყარი განვითარების ათწლეული, უკან დაუხევლად და მოუფიქრებელი ექსპერიმენტების გარეშე, რომლებიც გაუმართლებელი იქნებოდა უგუნური მიდგომით, ლიბერალიზმით ან სოციალური დემაგოგიით“.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ძლიერი, რათა თავიდან აიცილოს უხეში დიქტატი და გარედან ჩარევა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მკაცრი იყო მთავრობის ხელმძღვანელი აპრილის პირველ დეკადაში თათბირზე ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის განვითარების ზომების შესახებ: სანამ რუსეთს არ მიიღებენ ორგანიზაციაში, არანაირი რეკომენდაციები და ვალდებულებები, ნაკისრი მოლაპარაკების პროცესში ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, ჩვენს საზიანოდ არ იქნება შესრულებულიო.

ამ დროს სიტუაცია ისეთია, რომ საკითხის გადაწყვეტის მიახლოებული ვადებიც კი არ გამოკვეთილა. პრობლემა ის არის, რომ საქართველოს არ აქვს განზრახული უარი თქვას რუსეთისთვის წაყენებულ პირობებზე. ახლა კი მოლაპარაკების წინა დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების მრჩეველი ევრაზიის საკითხებში მაიკლ მაკფოლი აცხადებს, რომ ვაშინგტონი, რომელსაც სურს იხილოს რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მიუხედავად ამისა, არ აპირებს ზემოქმედება მოახდინოს საქართველოზე და ჩაერიოს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებაში. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის და ფინანსთა მინისტრის ალექსეი კუდრინის ოპტიმისტური განცხადებები და პროგნოზები რამდენადმე ცაში გამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მთავარი და არსებითად ერთადერთი პირობა საქართველოსი, რომლის შესრულების დროსაც იგი ნებას დართავს რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე, რჩება მოსკოვისადმი მოთხოვნა უზრუნველყოს ქართული მხარის შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მონაკვეთების საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე.

## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის დროს რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის გამორკვევა აშშ-ს დაუხმარებლად მოუწევს

ამის შესახებ უკანასკნელად განაცხადა 20 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

პირობა ამჟამინდელ სიტუაციაში შეუსრულებელია, ვინაიდან თბილისის მოთხოვნის დაკმაყოფილებით მოსკოვი პრაქტიკულად უკან გაიწვევს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სუვერენიტეტის აღიარებას.

თბილისში მიაჩნიათ, რომ მოსკოვმა ხელიდან გაუშვა დრო, როდესაც საქართველოს პირობები არ იყო ისეთი მკაცრი, როგორც ახლა და იმის ნაცვლად, რომ შეთანხმდნენ, მოსკოვმა პირიქით დაიწყო ქართველების მასობრივი დეპორტაცია, სავაჭრო ბლოკადა და დაკეტა ბაზარი ქართული პროდუქციისთვის. „ამჟამად ჩვენი მოთხოვნა თავისი არსით შეეხება არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, არამედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა კომპლექსურ და ძირეულ ნორმალიზაციას, რისი მოლოდინიც უახლოეს მომავალში გულუბრყვილობაა“, – გვითხრეს წყაროებმა საქართველოს მთავრობაში.

მოლაპარაკების პროცესის დევალვაცია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხზე ერთი მხრივ, და მისივე „გლობალიზაცია“, მეორე მხრივ, – უტოვებს მოსკოვსა და თბილისს მხოლოდ წვრილმანებზე პიკირების შესაძლებლობას. კვირის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება, შეწყდეს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მოქმედება სამხედრო ტვირთის ტრანზიტის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. თავად შეთანხმება მთავრდებოდა შემოდგომით. საქართველოს მხარემ, ცხადია, გადაწყვიტა იმოქმედოს უნაკლოდ დიპლომატიური და იურიდიული ხაზებით, ნახევარი წლით ადრე, როგორც ამას დოკუმენტის პირობები მოითხოვდა და გამოაცხადა, რომ არ სურს მისი გაგრძელება. ამ დროს, რომ არ ეწყენინებინა მეზობელი სომხეთისთვის, ერთადერთისთვის, თუ არ ჩავთვლით რუსეთის სამხედრო ბაზას გიუმრიში, ვისაც სარგებელი ექნებოდა ამ შეთანხმებით, კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე ერევანში „კომპენსაციური“ წინადადებებით გაიგზავნა თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია: სომხეთის მხარემ მიიღო მოწვევა გამოაგზავნოს მოსამსახურეები ტრენინგზე საქართველოს სამხედრო ბაზებში, ახალგაზრდობა კი – საქართველოს სამხედრო ცენტრებსა და სასწავლებლებში.

ერევანში თუ შეშფოთდნენ კიდეც იმით, რომ სამხედრო ტვირთის ტრანზიტის შეწყვეტის გადაწყვეტილების შესახებ, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ბაქოს ზეგავლენით, სულ ერთია ეს ხელშეკრულება არასოდეს ყოფილა დიდად ეფექტიანი, ვინაიდან რუსეთი თითოეულ სატრანსპორტო ოპერაციაზე მოითხოვდა საქართველოს თანხმობას, რასაც ღებულობდა დიდი გაჭირვებით და თბილისის აშკარა უკმაყოფილებით. ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ ასეთ მიმართვებს არანაირი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა.

ნაციონალიზმისა და კონფლიქტების შესწავლის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა როდესაც კომენტარს უკეთებდა ხელშეკრულების დენონსაციის ფაქტს, აღნიშნა, რომ ეს შეიძლება შევაფასოთ, როგორც შესაძლო შეხსენება მოსკოვისთვის რეგიონში გავლენის კიდევ ერთი ბერკეტის შესახებ, რაც საქართველოს აქვს.

ურთიერთკბენებისა და ბრალდებების სერია – ჩვეულებრივი ამბავია უკანასკნელ პერიოდში მოახლოებული მოლაპარაკების ანტურაჟთან დაკავშირებით მოსკოვსა და თბილისს შორის. როგორც მსუბუქი ბრძოლების დაზვერვის ტიპი. „არაფერი მოულოდნელი და სერიოზული ამაში არ არის. ბერნში მოლაპარაკების წინა პერიოდში გასაოცარია მხოლოდ საქართველოს მხარის სიმტკიცე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხთან დაკავშირებით. და ეს გაურკვეველია – მთელ მსოფლიოს სურს იხილოს რუსეთი ორგანიზაციაში, თავად ამ ორგანიზაციასაც უნდა ეს, მაგრამ ვერაფრით ახერხებს მიიღოს შეთანხმება საქართველოსგან“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში პაატა ზაქარეიშვილმა. მისი აზრით, სააკაშვილის სიჯიუტე შეიძლება აიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკელთა ბანაკიდან მხოლოდ ძლიერი მხარდაჭერით – თუ საპრეზიდენტო არჩევნებამდე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხი ცაში იქნება გამოკიდებული, მაშინ ობამა, რასაკვირველია, მიიღებს ბოროტ კრიტიკას კონკურენტი რესპუბლიკელისგან იმის უნარის უქონლობის გამო, რომ ვერ შეძლო გადაეწყვიტა მარტივი საკითხი, მით უმეტეს, მოკავშირე საქართველოსთან ერთად.

Коммерсантъ

---

## დედამიწის ზურგზე




**ყაზახეთის საზღვართან ჩამოვარდა რუსეთის რაკეტა – რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ ყველაფერი აღიარა და განმარტა მიზეზები**

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყაზახეთის წყაროები ცდილობდნენ დამოუკიდებლად აეხსნათ მომხდარი ამბავი. აღინიშნა, რომ საგნის სიგრძე 4-5 მეტრი იყო, მისი დაცემის ადგილი კი დაახლოებით 10-15 კილომეტრზე იყო რუსეთის ფედერაციის საზღვრიდან. ბევრმა ინციდენტი უმალვე რუსეთის ფედერაციის სამხედრო სწავლებას დაუკავშირა, რომელიც ეწყობა ასტრახანის ოლქის აშულუკის პოლიგონზე.

* * *

**ლიბიაში ნაღმსატყორცნით მოკლეს „ოსკარის“ ნომინანტი, ფოტოჟურნალისტი და უკრაინელი ექიმი**



ტიმ ჰეზერინქტონთან ერთად იყვნენ სხვა დასავლელი ფოტორეპორტიორები, მათ შორის კრის ხონდროსიც, რომელიც ჭრილობებისგან გარდაიცვალა. მათთან ერთად დაიღუპა 7 ლიბიელი. ინციდენტი მოხდა მეამბოხეების მიერ ხელში ჩაგდებულ მისურატში, რომლის გათავისუფლებასაც ცდილობს არმია.

* * *

**იაპონიის ხელისუფლებამ დახურა 20-კილომეტრიანი ზონა ატომურ ავტოსადგურ „ფუკუსიმა1“-ის გარშემო**



იქ დროებით უშვებდნენ ევაკუირებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს ნივთებისთვის, აგრეთვე პოლიციელებსა და საძიებო გუნდებს, რათა მოეძებნათ დაღუპულები. ზოგიერთი ევაკუირებული დაბრუნდა თავისი ნებით, მაგრამ ყველას ასახლებენ. 11მარტის მიწისძვრის შემდეგ მიწისქვეშა ბიძგები კვლავ გრძელდება.

* * *

**მეკობრეებმა ადენის ყურეში ხელში ჩაიგდეს სამხრეთ კორეის კონტეინერმზიდი 20 კაცის ეკიპაჟით**

ეკიპაჟთან კავშირი გაწყდა, როდესაც ხომალდი იემენის კუნძულ სოკოტრას აღმოსავლეთით 40 კილომეტრზე იმყოფებოდა. ხომალდის სავარაუდო ადგილსამყოფელი რაიონისკენ გაიგზავნა სამხრეთ კორეის საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც წყლის პატრულირებას ახდენს სომალის რაიონში.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ისტორიის გამოცანები

# სალომეა უდანაშაულოა

**მეფე იროდის ქალიშვილს სალომეას არ მიუღია მონაწილეობა იოანე ნათლისმცემლის მკვლელობაში. ადამიანი, ვინც ამას ამტკიცებს, ეტყობა, უფრო კულტურის მოღვაწეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მღვდელმსახურებთან. მოარულმა სიუჟეტმა, რომელიც მრავალგზის არის ტირაჟირებული ხელოვნებაში, როდესაც ულამაზესი ქალიშვილი თავისი ცეკვისთვის იოანე წინასწარმეტყველის თავს ითხოვს, საბედისწერო ქალად აქცია იგი.**

სიუჟეტი სალომეას მონაწილეობის შესახებ იოანე ნათლისმცემლის დაღუპვაში — დასავლეთევროპული ხელოვნების მრავალი ასეული წლის მოარული სიუჟეტია. ტიციანმა და პიკასომ, ჰაინემ და უაილდმა, მხატვრებმა და მოქანდაკეებმა, პოეტებმა და დრამატურგებმა უკვდავყვეს მისი სახე. მართლმადიდებლური ლიტერატურის ტრადიციაში სიუჟეტი ცნობილია სახელწოდებით **„იოანე წინასწარმეტყველის თავის კვეთა“**.



**„სალომეა“**. ალფონს მუხას ნახატი

შეგახსენებთ ამ ცნობილ სიუჟეტს. სალომეა ცეკვავდა იროდის წინაშე მისი დაბადების დღის აღსანიშნავ დღესასწაულზე. ახალგაზრდა ქალიშვილის ცეკვა ისე მოეწონა იროდს, რომ დაჰპირდა მას ყველაფერს, რასაც ისურვებდა, თვით თავისი სამეფოს ნახევარსაც კი! თავისი დედის იროდიადას დარიგებით, სალომეამ იროდს სთხოვა იოანე ნათლისმცემლის თავი. იროდმა ბრძანა, მოეჭრათ თავი იოანე წინასწარმეტყველისთვის და მისი თავი მოეტანათ ლანგრით.

წმინდა წერილის ფურცლებზე არ არის ნახსენები მისი სახელი იოანეს მკვლელობასთან დაკავშირებით. არც მარკოზის, არც მათეს სახარებებში ქალიშვილის სახელი არ არის ნახსენები. **„და როდესაც ზეიმობდნენ იროდის დაბადების დღეს, მისი ქალიშვილი ცეკვავდა სტუმრების წინაშე...“** მაგრამ მისი სახელი ნახსენები არ არის. მხოლოდ ისტორიკოს იოსებ ფლავიუსის **„იუდეური სიძველეების“** ფურცლებზე გვხვდება ეს სახელი.

ფრანგი ისტორიკოსი და მწერალი, ეზოთერიკოსი და ოკულტისტი რობერ ამბელენი წიგნში **„იესო, ანუ ტამპლიერების სასიკვდილო საიდუმლოება“** გვთავაზობს თავის ვერსიას, თუ რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო სალომეა ავბედით წვეულებაზე. დიდი იროდი გარდაიცვალა 5 წელს ჩვენს ერამდე. მისი სიკვდილის შემდეგ მისი უფროსი შვილი წავიდა რომში, რათა იმპერატორ ავგუსტუსს დაემტკიცებინა იგი იუდეველთა ტახტზე. მისმა ძმამ, იროდ ანტიპამ, რომიდან დაბრუნების დროს, აცდუნა თავისი ძმის იროდ ფილიპეს ცოლი თანაცხოვრებისათვის. „იუდეურ სიძველეებში“ იოსებ ფლავიუსი იტყობინებოდა, რომ იროდიადა დათანხმდა ამაზე მალე თავისი ქალიშვილის დაბადებიდან.

„მაშასადამე, — წერს ამბელენი, — აღნიშნული სალომეა უკვე გაჩნდა 5 წელს ჩვენს ერამდე, და იმ დროისთვის ის დაახლოებით ერთი წლისა იყო. ნათლისმცემელი მოკლეს ჩვენი ერის 32 წელს, მაშასადამე, იმ დროისთვის სალომეა იყო (5 ძვ. წ. აღ.-32 ახ. წ. აღ.ძ სულ ცოტა ოცდაჩვიდმეტი წლის“.

იმავე იოსებ ფლავიუსის თანახმად, სალომეა პირველად გათხოვდა თავის ბიძაშვილ ფილიპზე, იროდ ანტიპას შვილზე, რომელიც ამავე დროს იყო მისი ნამდვილი ბიძა და იროდიადაზე დაქორწინების შემდეგ — მამინაცვალიც. ფილიპე ანტიპას სიკვდილის შემდეგ ის მეორედ გათხოვდა არისტობულზე, აგრიპას ძმაზე. ამ ქორწინებაში მან სამი ბიჭი გააჩინა: იროდი, აგრიპა და არისტობული. შემონახულია 56-57 წლებით დათარიღებული მისი გამოსახულება მონეტაზე. ავერსზე გამოსახულია არისტობული, რევერსზე — სალომეა.

თავის სასახლეში ტიბერიადაში იროდ ანტიპა აწყობს დიდ ნადიმს. დავუშვათ, სალომეა ზის მაგიდასთან, სადაც შეკრებილია იუდეის უმაღლესი დიდებულები მის მეორე მეუღლესთან არისტობულთან ერთად. ისტორიკოსი რ.ამბელენი სვამს შეკითხვას: „რამდენად არის სიმართლე, რომ იუდეის ტეტრარქმა სთხოვა სალომეას, ოჯახის დედას, ეცეკვა თავისი მეუღლის წინ?“

და თავადვე უპასუხებს: „აღმოსავლეთში იმ დროს არ ცეკვავდნენ ისე, როგორც ჩვენს დროს ევროპულ დანსინგებში, „საკუთარ წრეში“ და „თავისი კმაყოფილებისთვის“. არიან მოცეკვავეები, ვისთვისაც ეს იყო ხელობა, და მეტად საზიზღარი ხელობა. და სთხოვო შენს გერს, რომელიც ამავე დროს იყო მისი ძმისწული, დაიწყოს მაცდური ანტრაშები მეუღლისა და მთელი სასახლის თვალწინ, რაც წარმოუდგენელი ამბავი იყო; ეს იქნებოდა მძიმე შეურაცხყოფა ორივესთვის. მით უმეტეს, საქმე შეეხება 37 წლის ქალს, რომელიც, როგორც აღმოსავლეთში ხდება ხოლმე და ეპოქის გათვალისწინებით, ალბათ ვადამდე ჩასუქდა“.

საეჭვოა, რომ ტეტრარქმა შესთავაზა სალომეას ჯილდო იმ ზომით, როგორც ღვთისმეტყველი მარკოზი წერს, თავისი სამეფოს ნახევრამდე? უკეთესი არ იქნება, თუ სალომეას იროდიადით შევცვლიდით, რომელიც მაშინ ორმოცდაათი წლის აიყო?

წარმოგვიდგენია, რომ მარკოზმა და მათემ გადაწყვიტეს წარმოედგინათ იოანე ნათლისმცემლის არა როგორც რიგითი პოლიტიკური პატიმრის სიკვდილით დასჯა, არამედ როგორც სასიყვარულო ინტრიგის მსხვერპლი, ასეთ შემთხვევაში სიუჟეტი მოხვდა ხელოვნების კეთილნაყოფიერ ნიადაგზე და დაამახსოვრდა მრავალ თაობას. ცეკვისა და სიკვდილის დაპირისპირება აღმოჩნდა ძველი მითებისა და ისტორიული ლეგენდების განსახიერება. ვნება და დანაშაული ფიგურირებდა თავად ბიბლიაში: სამსონი და დალილა, მაგრამ განსაკუთრებით ივდითი და ოლოფერნის თავი.

რობერ ამბელენის ლოგიკის შესაბამისად, იროდ ანტიპამ დააპატიმრა იოანე ნათლისმცემელი მაქერონტში, რათა წაერთმია მისთვის ყოველგვარი გავლენა ებრაელ ხალხზე. ერთი წლის შემდეგ მან ბრძანა მოეკვეთათ მისთვის თავი იმავე მაქერონტის ციხეში, როდესაც აჯანყებამ სახიფათო გაქანება მიიღო. საფრანგეთის აკადემიისა და ფრანგულენოვანი მსოფლიო ასოციაციის წევრის პიროვნებისადმი და მისი წიგნისადმი შეიძლება გქონდეს წარმოდგენა, როგორც ბელეტრისტიკისადმი და არა როგორც სამეცნიერო ნაშრომისადმი, მაგრამ არ დაეთანხმო მას სალომეასა და მისი მონაწილეობის შესახებ ნათლისმცემლის დაღუპვაში — ძნელია.

„ეს იყო სიფრთხილის მხოლოდ მარტივი და მკაცრი ზომა, მაგრამ არც იროდიადა, არც სალომეა აქ არაფერ შუაშია. ეს განმარტავს, თუ ეკლესიის მამებმა რატომ არაფერი იცოდნენ ყბადაღებულ „სალომეას ცეკვის“ ეპიზოდის შესახებ, რომელიც ლეგენდების სფეროს მიეკუთვნება“, — ასკვნის ამბელენი.

**„გოლოვინსკი პროსპექტი“**

საredaqcio ფოსტიდან

# ისევ „ქრონიკა“, ისევ ზედელაშვილი!

## „კრამიტდაცურებული ყოფილი პროფესორის“ პასუხი

მას შემდეგ, რაც ლიტერატურის კრიტიკოსად მოვლენილი ზედელაშვილის ნაცოდვილარიდან ნატამალიც არ დარჩა, დამტკიცდა, რომ ვერ ერკვევა ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის ელემენტარულ საკითხებში — ზედელაშვილს ნამცეცი კი არა აქვს იმ უნარისა, რაც საჭიროა პოეზიისა და ჩვეულებრივი ლოგიკური მსჯელობის ერთმანეთისგან განსასხვავებლად, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ევას გაჩენის ისტორიაც კი არ გაუგონია. როცა ამის შესახებ მას ვუთხარი, იფიქრა, ახლავე ყველაფერს გამოვასწორებო და მოუხმო მაშველ ძალას — ვინმე ლელა კოდალას შვილს და გამოუვიდა ისე, როგორც გურიაში ამბობენ: — ქეციანი ცხენი ქეციან ცხენს მონახავს მერეშიო („მერე“ თავისუფლად გაშვებული ცხენების საძოვარ ადგილს ქვიაძ; რაც დაახლოებით იმას ნიშნავს აღმოსავლეთში რომ ამბობენ, ერთი შეწვი და მეორე შეხრაკეო.

მაშველმა კოდალას შვილმა მშვენივრად შეასრულა ზედელაშვილის დაკვეთა: რადგან თავად ზედელაშვილმა ახალგაზრდა პოეტები გაანადგურა, ყველანი უვიცებად გამოაცხადა, კოდალაშვილს ძველებურად განიავება დაევალა და ისიც კეთილსინდისიერად დაემორჩილა დამკვეთს. ქალბატონმა განაცხადა: არც კონსტანტინე გამსახურდია, არც გოგლა ლეონიძე ბევრს არაფერს წარმოადგენდნენო, აღარას ვამბობ — მუხრან მაჭავარიანსა, ანა კალანდაძესა და მურმან ლებანიძეზე, რომელნიც საერთოდ ხსენების ღირსნიც არ არიანო.

საინტერესოა ის „შესავალიც“, რაც კოდალას შვილის მოწვევის გასამართლებლად წარუმძღვარა წერილს ზედელაშვილმა. **„ამას წინეებზე ერთი-ორმა ინტელიგენტმა მისაყვედურასავით, ვერ გავიგეთ, შენ ჟურნალისტი ხარ, თუ ლიტერატურული კრიტიკოსი, რა უფლებით არჩევ სხვის ლექსებს, თუნდაც არ ვარგოდესო? მე კი ვუპასუხე: ერთიც ვარ და მეორეც, რა უფლებით ერევით ჩემს საქმიანობაში-მეთქი“.**

**„შენაო, მეუბნება ერთი ყოფილი პროფესორი, ახალგაზრდებს ლექსის წერის ხალისს უკარგავ და, ვინ იცის, რამდენ მომავალ გალაკტიონს კლავ. ამის გამო შეიძლება სასამართლოშიც გიჩივლოთო. კი შევატყვე ამ ყოფილს კრამიტი რომ აქვს დაცურებული, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე პროფესიონალი პოეტების, ანუ მართლა ლექსის წერის ოსტატების აზრიც მომეწოდებინა თქვენთვის. რა იცი, კაცო, ამ ქვეყანაზე შეუმცდარი არავინაა, იქნებ მეც ვცდები და მართლა ვკლავ კვირაში რამდენიმე გალაკტიონს თუ არა გოგლა ლეონიძეს მაინც. მოდით თქვენთან ერთად ახლა ჭკუას დავეკითხები ლექსის კარგ მცოდნეს ლელა კოდალაშვილს“.**

როგორც ყველა უზრდელ და უპასუხისმგებლო თვითმარქვია „გენიოსს“, ვირეშმაკობა არ აკლია, ამ მხრივ ზედელაშვილიც არ გაინცდის სილარიბეს. „კრამიტდაცურებული ყოფილი პროფესორი“ მე გახლავართ, კაცი, ვინც ალბათ გელა ზედელაშვილს მამად ვერგები და, რაც მთავარია, ჩემს წერილში მის მიმართ ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვაც არ არის ნახმარი. მე მას აშკარად ვეუბნები, რომ, როგორც გალაკტიონი იტყოდა: „ზღვაში ჩაძირული მარგალიტის“ საიდუმლოებებში, — პოეზიაში, ვერ ერკვევი, ეს უვიცობა კი განსაკუთრებით მავნებელია, როცა საქმე ახალბედა პოეტებს ეხება, როცა ვერ გაგიგია და ხატოვან მიგნებას უწუნებ მათ.

ქვემძრომმა და ქვებუდანა ზედელაშვილმა კრამიტდაცურებული პროფესორი მიწოდა.

ზრდილობა და კამათის ადამიანური წესები რა საკითხავია იმისთვის, ვისაც ვერ გაუგია უბრალო ჭეშმარიტება: როცა შენ გეკამათებიან რაიმე საკითხთან დაკავშირებით და სათანადო მტკიცებულებაც მოაქვთ, შენ ვალდებული ხარ, ეს მტკიცებულება ჭეშმარიტი არგუმენტებით გააბათილო და ქუჩის დედაკაცივით არ ილანძღო.

მე მას მივუთითე, რომ „ბიბლია“ არ ჰქონდა წაკითხული, ამიტომ ვერ გაიგო შეყვარებული ქალის მიმართ პოეტის ნათქვამი: „**ვითლი ნეკნებს და მწყინს, რომ არც ერთი არ მაკლია, არ ვიცი შენ საიდან გაჩნდიო**“. „კრიტიკოსმა“ ამ ნათქვამისთის პოეტის გინესის წიგნში შეყვანა მოითხოვა: „გაგიგონიათ, კაცს უკვირს, ნეკნი რომ არ აკლიაო“.

ზედელაშვილი ვალდებული იყო დაესაბუთებინა ჩემი შენიშვნის უადგილობა და უსაფუძვლობა, რადგან ეს ვერ შეძლო, შეურაცხყოფა მომაყენა, რასაკვირველია, სახელისა და გვარის მოუხსენიებლად, სასამართლოში ველარ მიჩივლებსო.

სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, რომ დღეს ასეთი ჟურნალისტები გვყავანან — ყველაფერს იკადრებენ, ყველაფერს გაკადრებენ, რადგან იციან, რომ შენს წერილს თავიანთ გაზეთში არ გამოგაქვეყნებინებენ და სასამართლოში ჩივილის საბაბსაც არ მოგვცემენ.

**ალექსანდრე ფოცხიშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების სამეცნიერო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი.

***რედაქციისგან:** ბოლოს და ბოლოს ქართულ პრესაში, მეტადრე ეგრეთ წოდებულ „ყვითელში“, ზღვარი უნდა დაედოს ურთიერთმიმართ უშვერ ბილწსიტყვაობასა და ლანძღვა-გინებას. ბუნებრივია, ადამიანები და, მით უმეტეს, ჟურნალისტები, პატივს უნდა ვცემდეთ ერთმანეთს და ისეთ „სიტყვიერ იარაღს“, როგორიც გაზეთი ან ჟურნალია, ელექტრომედიაზე აღარაფერს ვამბობთ, ერთმანეთის „გულის დასაკოდად“ და „სასიკვდილოდ“ არ უნდა ვიყენებდეთ. არადა, ქვეყანაში მილიონი პრობლემაა, რომელთა გადაჭრა ჩვენგან, პრესის მუშაკთაგან, კოლექტიურ პასუხისმგებლობას მოითხოვს.*

ინფორმაცია

## მკვლელობა კახეთში

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო და თელავის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობისთვის ბრალდებული 1988 წელს დაბადებული ზაზა ალბერტის ძე ყარაულაშვილი.**

**გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ზაზა ყარაულაშვილმა სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა ბენზინგასამართი სადგურის ცვლის უფროსი, 1952 წელს დაბადებული გიორგი ირაკლის ძე დვალი.**

**როგორც შს სამინისტრო იუწყება, დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

კალათბურთი

# ბედი არ გინდა?!



**მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები წლეულს ლიტვაში პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.**

სამწუხაროდ, „ჯვაროსანთა“ გამთამაშებლის ტორინ გრინის ტრავმის სახით იგორ კოკოშკოვის გუნდს გაუთვალისწინებელი პრობლემები შეექმნა. ესპანეთის პრიმერადივიზიონის ბინადარ „გრან კანარიას“ ქართული პასპორტის მქონე ამერიკელმა უკანახაზელმა ფეხის ცერა თითი თავისი კლუბის ერთ-ერთ ვარჯიშზე მოიტეხა და ამ დღეებში გადაწყდება, დასჭირდება თუ არა ოპერაცია. შესაბამისად, გაურკვეველია, რამდენ ხანს გასტანს სარეაბილიტაციო პროცესი და მოგვიწევს თუ არა მისი შემცვლელის მოძებნა.

შეგახსენებთ, რომ ამავე მიზეზით ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ხან სანიკიძე აკლდა, ხან მარკოიშვილი და ხანაც — ბოისა, რის გამოც უძლიერესი შემადგენლობით ერთხელაც ვერ იასპარეზა საერთაშორისო სარბიელზე.

იგივე შეიძლება ითქვას ნატურალიზებულ ამერიკელ ლეგიონერებზეც, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევამდე ჯანმრთელობა არაფერ შუაში იყო, რადგან შემონდ უილიამსი და ტაირონ ელისი თითო შესარჩევი ციკლის შემდეგ ოჯახური საკითხების გამო დაგვემშვიდობნენ.

**გიორგი შოთაძე**

ფეხბურთი

# იქნებ ასე სჯობდეს



**3 ივნისს სპლიტში გაიმართება „ევრო-2012“-ის შესარჩევი ტურნირის უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩი ხორვატეთი — საქართველო, რომელსაც, შეიძლება ითქვას, „ჯვაროსანთათვის“ ყოფნა-არყოფნის დატვირთვა აქვს.**

მომავალი ბრძოლისთვის მოსამზადებლად ჩვენი გუნდის თავკაცი თემურ ქეცბაია თბილისური და უცხოური შეკრებების მოწყობას აპირებდა, თუმცა უკანასკნელ მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა. კერძოდ, ორკვირიანი საწვრთნელი პროცესი მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ ჩაივლის და იგი 20 მაისს დაიწყება. პარტნიორებს უკანასკნელნი რუსულ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერები შეუერთდებიან, რადგან 29-30 მაისს იქაური პრემიერლიგის შეხვედრებია დანიშნული.

**შეგახსენებთ, რომ იმავე დღეს ქალაქ დუგოპოლიეში ხორვატეთისა და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩიც გაიმართება.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

# „რეალმა“ თასი დაამტვრია



**შეიძლება, არც კი დაიჯეროთ, რომ გუშინწინდელ ოთხტაიმიან მატჩში კრიშტიანუ რონალდუს მიერ გატანილი გოლით ფეხბურთში ესპანეთის თასი „რეალმა“ რომ გამოგლიჯა „ბარსელონას“, მადრიდისკენ მიმავალი სამეფო კლუბის გახარებული ფეხბურთელები ვერ გაუფრთხილდნენ ძვირფას ნადავლს — სერხიო რამოსს თასი ხელიდან გაუვარდა და ის პირდაპირ კლუბის ავტობუსის ბორბლების ქვეშ აღმოჩნდა. — ამაზე წერს ესპანური AS.**




როგორც ეს გამოცემა აღნიშნავს, ამ ინციდენტის მიზეზი კოკისპირული წვიმაა, რამაც რამოსს თასი ხელიდან გააგდებინა.

თასის ნამსხვრევების აკრეფა მოხერხდა, თუმცა თასს ველარ გამოფენენ ყველას დასათვალიერებლად. იმასაც ამბობენ, რომ, როგორც რამოსმა თქვა, თასი „წესრიგშიაო“.

სტუმარი

# პროექტებს ადგილზე ეცნობა



**საქართველოს არაერთი უმაღლესი რანგის სპორტული ჩინოსანი სწვევია, მაგრამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის ჟან ტოდტის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში პირველად ხორციელდება.**

საპატიო სტუმრის ორდღიანი ვოიაჟის პროგრამა უმნიშვნელოვანესი შეხვედრებითა და ღონისძიებებითაა დატვირთული, რაშიც თავად დარწმუნდებით.

კერძოდ, ბათუმში ჩამოფრენისთანავე FIA-ს თავკაცი აჭარის მთავრობისა და საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად იქაური სარბოლო და „ა“ კატეგორიის კარტინგის ტრასის პროექტებს გაეცნო, მოინახულა ზღვისპირა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და იქ გადახვეწილ დე ფაქტო პრეზიდენტ სააკაშვილთან ვახშამიც მოასწრო.

რაც შეეხება დღევანდელ განრიგს, აღსანიშნავია ვ „დ“ მოდელის რუსთავის საავტომობილო ტრასის პრეზენტაციაში მონაწილეობა და საავტომობილო სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების დათვალიერება, მოლაპარაკებების გამართვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლადო ვარძელაშვილთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილთან, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროს გიორგი გრიგალაშვილთან და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მაია სიდამონიძესთან, აგრეთვე შემაჯამებელი პრესკონფერენცია სასტუმრო „რედისონში“.

**მანუჩარ გიორგაძე**

ვირო მადლიო!..

# უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი



**ახლახან გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ მთავარი მწვრთნელის ომარ თეთრაძის ინტერვიუ. წინასწარ აღვნიშნავ, რომ მის სამწვრთნელო წარმატებებს ეჭვქვეშ არ ვაყენებთ და არც გვაქვს ამის პრეტენზია.** საწყენი მხოლოდ ის ფაქტია, იგი თბილისის „დინამოსა“ და, ფაქტობრივად, ქართველებსაც რომ საყვედურობს. ეს მისი უპატიებელი დიდი შეცდომაა. მით უმეტეს, რომ მის ნათქვამში იოტის ოდენი სიმართლე არ არის. ან რაში დასჭირდა რუსულ მედიასთან ასეთი უგვანი ტყუილის მოჩმახვა, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ასეთი დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაა:

ომარ თეთრაძე ხაზგასმით ამბობს, რომ ბაბუის გვარზე — თეთრაძეზე იმიტომ გადავეწერე, რომ მაშინ თბილისის „დინამოში“ არაქართული გვარის ფეხბურთელს არ ილებდნენო. დაუჯერებელი და უპატიებელი ბრალდებაა. გადავხედოთ მოკლედ ისტორიას. თბილისის „დინამო“ საკავშირო ასპარეზზე 1936 წლიდან გამოდიოდა და გუნდში ქართველებთან ერთად გამოდიოდნენ რუსი, უკრაინელი, ბერძენი, ებრაელი, სომეხი, ოსი, აფხაზი, აისორი თუ ქურთი ეროვნების წარმომადგენლები. ჩემი ნათქვამის დასტურად მე აქ მომაქვს 40-მდე არაქართველი ფეხბურთელის სია, რომლებიც სხვადასხვა წლებში წარმატებით თამაშობდნენ თბილისის „დინამოში“. აქ თქვენ ნახავთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს (3 ფეხბურთელს: გ. ცხოვრებოვს, ა. აფშევს, ვ. გუცაევსძ, ქვეყნისა და თასების თასის მფლობელებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებსაც და სპორტის ოსტატებსაც. აი ისინიც: ა. დოროხოვი, ნ. ანიკინი, მ. მინაევი, ი. პანინი, ვ. პანიუკოვი, ნ. სომოვი, მ. ასლამაზოვი, ბ. ფროლოვი, ვ. ბერეჟნოი, გ. ბოგატელო, ა. ზაზროევი, ე. ტანტიბა, ი. გრამატიკოპულო, ი. ვარდიმიადი, მ. პირაევი, ზ. კალოევი, ე. დალაქიანი, მ. დავარაშვილი, ი. უსტაბაშიდი, გ. ცხოვრებოვი, ა. აფშევი, ა. ილიადი, ვ. გუცაევი, დ. მეშკოვი, დ. კუდინოვი, თ. ჟიბა, ვ. გაზაევი, ა. ცვეიბა, ა. ჩეკუნოვი, გ. აჯოევი, რ. ხაგბა, დ. გუბაზი, ს. თარბა, ბ. თედეევი და ზ. ხაპოვი.

მაპატიეთ, სულ მთავარი კინაღამ დამავიწყდა. 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ დიუსელდორფში ისტორიული გამარჯვება რომ მოიპოვა, გახსოვთ გოლები ვინ გაიტანა? პირველი ოსი ეროვნების შვილმა და მეორე, გადამწყვეტი — აფხაზმა. აქედან დასკვნა ასეთია: ომარ თეთრაძე გვარის გამო საქართველოში დაეჩაგრათ, ეს დაუჯერებელი ამბავია. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ასეთი ინტერვიუ ჩვენთვის შეურაცხმყოფელია და მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეკადრა.

**დურმიშხან ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## ბომბი ფოსტით გაუგზავნეს



**შოტლანდიაში გლაზგოს პოლიციამ გამოიჭირა ასაფეთქებელი მასალით სავსე სამი ამანათი, რასაც ფეხბურთის კლუბ „სელტიკის“ მთავარ მწვრთნელს ნილ ლენონს, აგრეთვე იურისტ პოლ მაკბრაიდს, და პოლიტიკოს ტრიშ გოლდმანს უგზავნიდნენ. ისინი ვერ ფარავდნენ თავისი სიმპათიებს ამ გუნდისადმი.**

სამივე ამანათი გაგზავნილი იყო რამდენიმედღიანი ინტერვალით, ფოსტის დამხარისხებელი განყოფილების თანამშრომლებმა ისინი თავდაპირველად ასაფეთქებელი მოწყობილობის მულაჟად მიიჩნიეს, მაგრამ შემდეგმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბომბები ნამდვილად სახიფათო იყო ადრესატებისთვის.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში „კელტების“ მწვრთნელმა და კლუბის კიდევ ორმა მოთამაშემ ფოსტით მიიღეს დასაშინებელი გზავნილები, რომლებშიც ვაზნები ეწყო. 2008 წელს ლენონს თავს დაესხნენ „რეინჯერსთან“ მორიგი დერბის შემდეგ.

პოლიცია ამ ინციდენტს ძალზე სერიოზულად მიუდგა. შეიმუშავა უშიშროების სპეციალური რეკომენდაციები, თანაც განსაკუთრებულ კონტროლს დააწესებს „სელტიკის“ და „რეინჯერსის“ მორიგ მატჩზე, აღდგომის დღეს რომაა დანიშნული, მათი წინა შეხვედრის დროს ამ პრინციპული მეტოქეების ოცდაათზე მეტი გულშემატკივარი დააპატიმრეს.

## მთავარი გარეგნული სილამაზე როდია

**თუმცა ცნობილმა პორნორეჟისორმა პიერ ვუდმანმა ქვეყანა გააყრუა კვეხნით — 4200 ქალთან ვწოლილვარო, მაგრამ თურმე ამით ვერ დაკმაყოფილდა და ახლა თვალი ბულგარეთისკენ გაურბის, თან ფიტნესში ევროპის ჩემპიონის ანი-ჯის (ანა გიორგიევაძ გამოჭერა მოინდომა. როგორც ლამაზმანმა განაცხადა, ვუდმინმა მას შესთავაზა თავის პორნოფილმში გადაღება, მაგრამ ცივი უარი მიიღო. „ჩვენ ორი წლის წინათ შევხვდით ერთ-ერთ ჩემს შოუში, დიდხანს ცდილობდა ჩემს დათანხმებას, მაგრამ ყველაფერზე უარი ვუთხარი!“**

ახლა ანი ჯიმ მომღერლად გახდომა გადაწყვიტა. ის სცენაზე ახალბედაა, მაგრამ მტკიცე პრინციპები აქვს, თუ როგორ უნდა მოიქცეს არა მარტო სცენაზე, არამედ მის გარეთაც, რათა საზოგადოებას მოეწონოს. მისი თქმით, ზოგიერთი ადამიანი გარეგნულად ლამაზია, შიგნით კი სიავის განსახიერებაა, ვისაც პოზიტივი არ ესმის, ხდება პირიქითაც — ულამაზო ადამიანში სიკეთე, დადებითი ენერგეტიკა ჩქეფს, სწორედ ასეთი ადამიანები გიზიდავენ მაგნიტივით!



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

გამოფენა

# „ბუსტროფედონი სარკეში“, ანუ ავანგარდი ლიტერატურის მუზეუმში

**წინასწარ არავინ იცოდა, თუ იმ საღამოს მეოცე საუკუნის დასაწყისში მოხვდებოდნენ. ლიტერატურის მუზეუმში შესულ სტუმრებს ჯერ წითელი ან თეთრი ღვინით უმასპინძლდებოდნენ, ხოლო შემდეგ თეთრ დარბაზში ეპატიჟებოდნენ.**

ლიტერატურის მუზეუმში ქართული ავანგარდის გამოფენა „ბუსტროფედონი“ გაიხსნა, სადაც წარმოდგენილია 1910-20-იანი წლების ქართული ავანგარდი: ავანგარდული და გრაფიკული წიგნები, ფოტოგრაფია და საარქივო მასალა. წარმოდგენილია ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის ნახატები, მიხეილ კალატოზიშვილის ფოტოები, მიხეილ გოცირიძის წიგნის გრაფიკა და ა. შ. გამოფენისთვის გამოყენებულია: იოსებ გრიშაშვილის მუზეუმის, გიორგი ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმის, თბილისის კინოს, თეატრისა და მუსიკის მუზეუმის ცენტრალური არქივის, ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის, ეროვნული ბიბლიოთეკის არქივის და სხვადასხვა ფონდის მასალები.

ნახატებთან და სურათებთან ერთად წარმოდგენილია ფილმები. მიხეილ კალატოზიშვილის – „თვალების მარილი“ და „ლურსმანი ჩექმაში“, კოტე მიქაბერიძის – „ჩემი ბებია“ და მიხეილ ჭიაურელის „საბა“..

გვესაუბრება გამოფენის კურატორი ნანა ყიფიანი: „ბუსტროფედონი“ – ეს არის წერის მანერა, როდესაც წერ არა მარცხნიდან მარჯვნივ ან პირიქით, არამედ გადმოტრიალებული ანუ უკუღმა. თითოეული ხაზი არის უკუღმა, უცნაური წერის მანერაა, სარკეში გაორმაგებული უცნაურობა. „ბუსტროფედონი სარკეში“ ასე ჰქვია ილია ზდანევიჩის ერთ-ერთ პოემას. ეს სახელი ჩვენ იდეასაც მოვარგეთ, რათა უკეთ გვეჩვენებინა ეს უკუღმართობა, თუ როგორ შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, უკუღმა წერა და არეკვლა სარკეში.

ამ მასალებს ორი წელიწადი ვაგროვებდი. დაგვეხმარნენ მუზეუმები, კოლექციონერმა დამიანე ალანიამ მუზეუმს 10 000-მდე წიგნი გადასცა. ნამუშევართა ნაწილი გამოფენისთვის გვათხოვა. 2009 წლის გაზაფხულზე ნიუ-იორკში იგივე თემაზე პერფორმანსი მოვაწყვეთ.

გამოფენა ერთ თვეს გაგრძელდება. ვერ გეტყვით, წითელი ღვინო კიდევ თუ დაგხვდებათ, მაგრამ ხელოვნებით მონიჭებულ სიამოვნებას ნამდვილად ვერსად გაექცევით.

**ხატია ცარციძე**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
99-62-77; 899 32-85-76.

ახლახან გამოიცა

# მეგობრების ნაჩუქარი წიგნები

**ჯვარი სწერია და, უმძიმესი ავადმყოფობის შემდეგ, ცნობილმა პოეტმა და პროზაიკოსმა ნუგზარ წერეთელმა, ისეთი „მეორე სუნთქვა“ ჩართო, მოყვარეს რომ უხარია, მტერს კი გუნებას უფუჭებს. ჯანმრთელობა, თავისთავად, მაგრამ მე შემოქმედებაზე მოგახსენებთ: აბა, რომანებიო, აბა, ტრაგიკულად დაღუპული ძმაკაცის გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიხედვაო, აბა, ესეების, მოგონებების, პუბლიცისტური წერილების კრებულიო...**

და აი, თავისი დაბადების 75 წლისთავს რჩეული ლექსების გამოცემით შეხვდა ბატონი ნუგზარი. მკითხველი კარგად იცნობს მის პოეზიას, რომელიც ნასაზრდოებია ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებით, თუმცა პოეტი არც სიახლეებზე ამბობს უარს, რასაც ნათლად გვიდასტურებს ამ „რჩეულში“ შესული მისი ორსტროფიანი, ხუთპწკარიანი ლექსები და ძალზე საინტერესო პროზა ლექსად.

საიუბილეო კრებულში დიდი ხნის წინათ დაწერილ ლექსებს, ხშირად ახალი, ანდა უცხოეთის გზებზე შექმნილი სტრიქონები ენაცვლება, რაც ძალზე საინტერესო მოზაიკას ქმნის.




აბა, წერეთლის სადარდებელი და საჭირისუფლო, უპირველესად, რა უნდა იყოს? ცხადია, სამშობლო, მისი წარსული, მისი ბედუკუღმართი დღევანდელობა და რწმენა მისი უკეთესი მომავლისა. ჰოდა, კრებულში ბევრი ნაღდი სტრიქონი ეძღვნება ამ თემას... და მაინც სევდა წუთისოფლის ამაოებაზე... და მაინც იმედი ბოლომდე დახარჯვისა:

**ნელ-ნელა კეცავს ცხოვრება აფრებს, უამრავ სურვილს ნელ-ნელა აქრობს, ვნებებს ველარსად იპოვნი მძაფრებს და წამლეკავი გრიგალიც დაქრის. საწამლავივით მიყრიან ნაღველს, უკვე დღეებიც რბიან დარდებად, იყავ თუ წადი, მოხველ თუ წახველ, ხომ ყველაფერი მიდის, მთავრდება. საწუთროს მაინც არ გსურს დანებდე, ხელმოცარულებს ბედი ადარო, კვლავ გსურს საკუთარ ხაზებს ავლებდე, რაც გაფრენამდე გინდა ატარო.**

მაშ, საწუთროს წინაშე არდანებებისა იყოს, ნუგზარ ბატონო, ამ შესანიშნავ კრებულში აფერადებულ პოეტურ გაზაფხულს გილოცავთ!

**მურად ჭანტურიას,** რომელთანაც ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, შესანიშნავი წიგნი გამოუცია – ნიჭიერად დაწერლი ნოველებითა და ჩანახატებით არის აფერადებული მისი კრებული – **„წუთისოფელისა, ანუ შუბლით დანახული ამბები“,** რომლებითაც ჩვენი დროის მაჯისცემას აყურადებს და ბევრ ისეთ პასაჟს აცოცხლებს, პირადად ჩემთვის რომ, დიახაც, ფასეულია...




ჩვენმა **ზაურ ფიფიამ,** ჩვენმა ძმამ და მეგობარმა ამ ორ წელიწადში ორი კარგი ჟურნალისტური კრებული გამოსცა, ეს ახალი კი – **„ჩანახატები სიმღერისთვის „სვანეთი“** – ჩვენს კოლორიტულ კუთხეში – სვანეთში თავის მოგზაურობას მიუძღვნა.




ვინც ჩვენი ზაურის ბიოგრაფიას იცნობს, არ გაუკვირდება, სვანეთში კი არა, ამაზონის ნაპირებზე დადიოდა ზაურიო. კი ბატონო, მაგრამ, ის შინაგანი სიყვარული, ის აღფრთოვანება ამ კოლორიტული კუთხის სანახებით, ადამიანებით, წეს-ჩვეულებებით, თავისთავადია და ზაურ ფიფიას შესანიშნავად აქვს აღწერილი... გილოცავთ, ჩემო ზაურ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# როგორ მოვიცილოთ ქერტლი?

**ხალხის მესამედ ნაწილს აწუხებს ქერტლი. და პრაქტიკულად თითოეული ჩვენგანი ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში აწყდება „თოვლის“ პრობლემას თავზე. გაზაფხულზე ქერტლს ქუდიც კი ვერ ფარავს. ასე რომ, ყველაზე კარგი დროა ვებრძოლოთ მას. კერძოდ როგორ?**

**გავრცელებულ მითებს ფანტავს რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს დერმატოვენეროლოგიისა და კოსმეტოლოგიის სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრ „ჯანსაღი თმების“ ექიმი-ტრიქოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ირინა კონდრახინა.**

**მითი 1. ქერტლი შეიძლება მოირჩინო დამოუკიდებლად:**

ყოველთვის ამას ვერ შეძლებ. სამეცნიერო ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ქერტლი – ეს სებორეას (კანის დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია თვისებრივად შეცვლილი კანის ცხიმის გამოყოფა) დერმატიტია. დაავადებას ახასიათებს თეთრი ქერტლი, რომელიც ჩნდება თავის თმიანი ნაწილის კანზე, თუ უჯრედის დაყოფის პროცესი დარღვეულია. ქერტლის გაჩენის მეორე მიზეზი – სოკოა, რომელიც ვითარდება მისთვის ხელსაყრელ პირობებში (სტრესი, იმუნიტეტის დაქვეითება და ა.შ.). ქერტლი შეიძლება გაჩნდეს პერიოდულად, მაგალითად, იმის შედეგად, რომ მთელი ზამთრის პერიოდი გეხურათ ქუდი, ან მოზარდებში სქესობრივი მწიფობის პერიოდში.



თუ ქერტლი ბევრია, ეს იწვევს ქავილს და ძმარვას, რომლებსაც გამოიმუშავებს კანის ცხიმი, რაც იწვევს „თეთრი ფიფქების“ გაჩენის პროვოცირებას. ეს ხდება შინაგანი ორგანოების, ჰორმონალური სისტემის პრობლემების გამო – მიზეზი ექიმმა უნდა განსაზღვროს.

არსებობს დერმატოლოგიური დაავადებანიც (კერძოდ, ფსორიოზი), როდესაც ჩნდება აქერცლვის კერები. ამიტომ უკეთესია თავი დავანებოთ თვითმკურნალობას, გართულებას რომ არ ჰქონდეს ადგილი.

აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს, თუ ქერტლს დიდი ხნის განმავლობაში ვერ ართმევთ თავს. მან შეიძლება დაგინიშნოთ ანალიზები ჰორმონებზე, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტი. ამის შემდეგ გამოგიწერთ სამკურნალო პრეპარატებსა და შამპუნებს.

**მითი 2. ქერტლის შამპუნები დაგვეხმარება ავიცილოთ იგი თავიდან:**

იმ შამპუნებს, რომლებიც მაღაზიაში იყიდება, შეიძლება ჰქონდეს ეფექტი, თუ ქერტლი დროებითი მოვლენაა და გაჩნდა ამ ცოტა ხნის წინათ. მაგრამ ასეთი შამპუნები ყველას როდი ეხმარება, მათი ეფექტი კი ხანგრძლივი არაა: არის იმის დიდი ალბათობა, რომ ქერტლი ისევ გაჩნდეს, თუ ამ საშუალების გამოყენებას თავს დაანებებთ. არის ქერტლის სამკურნალო სპეციალური შამპუნები, რომლებიც მხოლოდ აფთიაქებში იყიდება. როგორც წესი, მათ ნიშნავს ექიმი და მათ მოაქვთ სასურველი ეფექტი სამკურნალო თერაპიასთან ერთად.

თუ შამპუნმა გიშველათ და ქერტლი გაქრა – დაიწყეთ სხვა რამის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის თმიანი ნაწილის კანი შეეჩვევა გარკვეულ სამკურნალო შემადგენლობას, და სამომავლოდ აღარ დაგეხმარებათ. 2-3 თვის შემდეგ შამპუნის გამოყენება კვლავ შეიძლება.

**მითი 3. ქერტლი ჩნდება, თუ თავს ხშირად იბანთ და იშრობთ ფენით:**

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზეზი სხვა რამეა. თავის დაბანა შეიძლება იმ სიხშირით, როგორიც გინდათ. მაგრამ გამოიყენეთ სამკურნალო შამპუნები (ისინი უფრო დამნდობები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც მაღაზიაში იყიდება და ჭუჭყთან ერთად რეცხავენ კანის დამცველ ფენას თავის თმიანი ნაწილიდანძ, შამპუნის სასარგებლო თვისებებმა რომ მოასწრონ თმებში შეღწევა, ის უნდა გააჩეროთ 2-3 წუთი და მერე ჩამოიბანოთ. გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, თმები არ არის მკვდარი სტრუქტურები, ისინი, ისევე როგორც კანი, უნდა დავასველოთ და ვკვებოთ. მაგრამ თუ თმები ყოველდღე ქონიანი ხდება – შეიძლება ამას ჰქონდეს სერიოზული მიზეზები: გასტროენტეროლოგიური დაავადებანი, ჰორმონალური დარღვევები და სხვ. თუ მათ მოვიშორებთ თავიდან – პრობლემა ყოველდღიური თავის დაბანისას თავად გაქრება.

**იულია გარმატინა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ლონდონის მეცნიერების, ტექნოლოგიების და მედიცინის სამეფო კოლეჯის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი**

**ალექსანდრე გოგოლინი**

**და სამძიმარს უცხადებს აკადემიკოსების გიორგი და ვლადიმერ ციციშვილების ოჯახს.**

**ელგუჯა მირველაშვილის ოჯახი თანაუგრძნობს ზურაბ და ლევან დავითაძეებს ძმის და ანა დავითაძეს – მამის**

**ამირან დავითაძის გარდაცვალების გამო.**

**კობა პერანიძე და ირმა მირველაშვილი თანაუგრძნობენ ზურაბ დავითაძეს ძმის**

**ამირან დავითაძის გარდაცვალების გამო.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ტესტი

# რამდენად საყვარელი ადამიანი ხართ?



**1. თქვენი პარტნიორი გთხოვთ უამბოთ თქვენს წარსულ კავშირურთიერთობებზე ან თავად გიამბობთ თავის ყოფილ გამოცდილებაზე?**

ა) ასეთი რამ ხდება, მაგრამ იშვიათად.

ბ) არა, იმიტომ, რომ მთავარია ჩვენი შეხვედრა. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა იყო მანამდე.

გ) დიახ, ხშირად ვსაუბრობთ წარსულზე.

**2. მნიშვნელოვანია ადამიანისთვის თქვენი აზრი?**

ა) არც კი ვიცი, შეიძლება.

ბ) დიახ.

გ) მიმაჩნია, რომ ყოველთვის არა.

**3. თუ გრძნობთ, რომ თქვენი პარტნიორი რაღაცას გიმალავთ?**

ა) ზოგჯერ ხდება.

ბ) ჩვენს შორის არაფერია დამალული.

გ) ხშირად მიჩნდება ასეთი შეგრძნება.

**4. საპასუხოდ იმდენსავე ემოციას ღებულობთ, რამდენსაც გასცემთ?**

ა) ერთი ერთზე არ გამოდის – ხან ძალიან ბევრს, ხან – არაფერს.

ბ) უფრო მეტსაც კი.

გ) ველოდები,რომ მივიღებ.

**5. თუ იჩენს ადამიანი ცოცხალ ინტერესს იმისადმი, რითი ცხოვრობთ და როგორ ატარებთ სამუშაო დღეებს?**

ა) ზოგჯერ.

ბ) რა თქმა უნდა.

გ) არცთუ დიდ ინტერესს.

**6. ყოველთვის თუ გრძნობთ, რომ პარტნიორი ცდილობს იზრუნოს თქვენთვის?**

ა) სხვადასხვანაირად, მაგრამ უფრო ხშირად კი, ვიდრე არა.

ბ) ყოველთვის ვგრძნობ.

გ) არა.

**7. თუ ავლენს ადამიანი ეჭვიანობას და როგორ?**

ა) დიახ, თუ მე თვითონ ვაძლევ ამის საბაბს.

ბ) თუ ეჭვიანობს, უფრო ხშირად ხუმრობით.

გ) პრაქტიკულად ამას მე მას ვერ ვამჩნევ.

## ტესტის გასაღები

**დაიანგარიშეთ, როგორი პასუხები მეტი გაქვთ ასო „ა“-ს ქვეშ, ასო „ბ“-ს ქვეშ, და ასო „გ“-ს ქვეშ.**

**„ა“-ს ქვეშ – ეს ჯერ კიდევ არაა სიყვარული, შეიძლება თქვენი პარტნიორი ახლა მიდის მისკენ. არ არის გამორიცხული ვარიანტიც, თუ თქვენი დამოკიდებულება ხანგრძლივია, რომ გრძნობები იწყებენ ჩაქრობას: ნუ შეწყვეტთ ერთმანეთის გაოცებას, იქნებ ყოველდღიურ ცხოვრებაში თქვენ სულ დაივიწყეთ ეს!**

**ასო „ბ“-ს ქვეშ – გილოცავთ, კარგი შედეგია, როგორც ჩანს, თქვენ უყვარხართ! მაგრამ გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ურთიერთობა – ეს ყოველთვის ორი ადამიანია. ეცადეთ, ყოველდღიურად დაუჭიროთ მხარი სათუთ გრძნობებს თქვენს პარტნიორში, ნუ დაივიწყებთ გამოიჩინოთ ზრუნვა და ყურადღება, ნუ დაინანებთ სულიერ სითბოს!**

**ასო „გ“-ს ქვეშ – ალბათ, თავდავიწყებითი სიყვარული აქ არ არის, მხოლოდ გარკვეული ერთგულებაა. სხვათა შორის, არ შეიძლება სრულიად გამოვრიცხოთ, რომ თქვენი პარტნიორი უბრალოდ ძალიან მალავს თავის გრძნობებს. ასეთი რამ ხდება, თუ ადამიანი ბოლომდე არ არის დარწმუნებული საპასუხო გრძნობებში.**

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● კოლეჯში სწავლისას მომავალ მათემატიკოს გეორგ დანციგს თურმე ლექციები საშინლად მოსაწყენი ეჩვენებოდა. ერთხელ სითამამე მოიკრიბა და პროფესორს უთხრა, თქვენი ამოცანები ძალიან ადვილიაო. პროფესორმა მიუგო, ძალიან კარგი, რაიმე საინტერესოს მოგიძებნითო და უბის წიგნაკიდან ფურცელზე 9 ამოცანა დაუწერა. გავიდა თვე და პროფესორი დაინტერესდა, სტუდენტმა ამოცანები ამოხსნა თუ არა.**

**– ძალიან ძნელი იყო, მხოლოდ ექვსის ამოხსნა შევძელი, – შესჩივლა დანციგმა.**

**პროფესორი გაოგნდა – მან დანციგს 9 ამოუხსნელი პრობლემა მისცა.**

**● 1628 წელს ესპანეთის სამეფო კარზე რუბენსი ჯერ ელჩად იყო ცნობილი და შემდეგ კი მხატვრად.**

**● ერთხელ ალბერტ აინშტაინმა ჩარლი ჩაპლინს მისწერა: „გავიგე, რომ ხარ უდიდესი ადამიანი, შენი ფილმები გასაგებია ყველასათვის, კრეტინებისთვისაც კი“, რაზეც ჩარლი ჩაპლინმა უპასუხა; „მე შენით ვარ აღფრთოვანებული, იმიტომ, რომ შენი ფარდობითობის თეორია ვერავინ გაიგო“.**

**● მაქსიმილიან რობესპიერეს ეკუთვნის სიტყვები: „სამშობლოსათვის ცოტა გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე“.**

**● ოლივერ კრომველი იყო ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც სამეფო ტახტი დაამხო, კარლოს I სიკვდილით დასაჯა და ინგლისი რესპუბლიკად გამოაცხადა.**

**● ონორე დე ბალზაკს ასეთი სიტყვები ჰქონდა ამოტვიფრული თავის ხელჯოხზე: „მე ყველა დაბრკოლებას ვამსხვრევ“.**

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

გაშიშვლებული სული და სხეული

# თოხარიკი თაობა

**გლობალიზაციის პროცესმა საქართველოში ისე მძლავრად აკრიფა სიჩქარე, რომ ნახევრადგაშიშვლებული ახალგაზრდების შემყურე უფროსთაობელები თავში ხელებს იშენენ და მთლად გადაგვარებას გვიქადიან.**

შეხედულებების და მენტალიტეტის ცვლილებასთან ერთად, ახალგაზრდობამ გარეგნულადაც იცვალა ფერი, სული და სხეული გაიშიშვლა და გამომწვევი გახდა. ეროტიკამ ოთახიდან ქუჩაში გადაინაცვლა. მოსეირნე წყვილები მოურიდებლად „მტყლაშამტყლუშობენ“, ზოგიერთი „მოდას“ აყოლილი ტყიდან გამოქცეულ ნადირს უფრო ჰგავს, ვიდრე თანამედროვე ადამიანს.





მამაკაცს თინეიჯერმა გოგონამ მორიდებით, თავჩაღუნულმა რომ ჩაუარო, ალბათ დღეს უფრო სირცხვილად ითვლება, ვიდრე ღირსებად. გენდერულმა თანასწორობამ ყველასა და ყველაფერში ეს ძველი ღირებულებები გადააფასა.



დღევანდელი თაობის თოხარიკული სვლა უზნეობისკენ, რომელიც დროების სტილი გამხდარა, კენგურუს ნახტომივით მიიწევს წინ. ნათქვამია: დრონი მეფობენ და არა მეფენი! – მაგრამ ეს პირობითი ცნებაა, დროს საზოგადოება ქმნის და არა პირიქით...

მამაჩემის ღირსეული თაობა, რომელიც ძველ შეხედულებებს ვერ თმობს, დარდობს, რომ ქართველი ქალისა და კაცის სახე სხვა ქვეყნების კულტურათა წამბაძველობით, თითქმის დაიკარგა. ადრე თუ ტრადიციებს ბრმად მისდევდნენ, ღვთის მადლით, მომრავლდა ეკლესიურად მცხოვრები ახალგაზრდები, ოჯახები, რომლებიც შეგნებულად იცავენ და მისდევენ ღირსეულ ტრადიციებს. თუ ასე გაგრძელდება, მთლად ცუდად არ უნდა გვქონდეს საქმე!

**გულნაზი გახარია,**
**ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი**

**იყიდება, ქირავდება!**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვ.მ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 აპრილს**

**ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალგაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858**

ანეკდოტები

**– საიდან მოდიხარ? – ეკითხება მიხო მაროს.**

**– სილამაზის სალონიდან.**

**– მერე დაკეტილი იყო?**

* * *

**ჩვენი ხელისუფლების დევიზი: „გადავაქციოთ საქართველო შვეიცარიად, ქართველები კი – შვეიცარებად!“**

* * *

**მარხავენ მამაკაცს, რომელიც სექსუალური აქტის დროს გარდაიცვალა. მეგობარი ამბობს გამოსათხოვარ სიტყვას:**



**– მშვიდად იძინე, ძმაო, შენს დაწყებულ საქმეს ჩვენ განვაგრძობთ.**

* * *

**სვანმა ჟურნალი იყიდა. ხედავს, რომ მის ყდაზე დაბეჭდილია ლამაზი ქალის ფოტო, რომლის ქვეშ წერია: „მის 98 წელი“.**

**– ხედავ, კაცო, 98 წლისა ყოფილა და რა კარგად გამოიყურება.**

* * *

**იდეალური მეზობელია ის, რომელიც სწორედ მაშინ ხმაურობს, როდესაც თქვენ ბობოქრობთ.**

* * *

**სიძნელეებს მხოლოდ სულელები გადალახავენ ხოლმე, ჭკვიანები მათ გვერდს უვლიან.**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.**
**ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24